პატარაობისას საფრანგეთში ნავებით შეჯიბრება მოიგოო! რა მოხდა, მეც მომიგო პატარაობისას ნავებით შეჯიბრება ლისის ტბაზე. მამაჩემს დავეყავით ხოლმე ხანდახან – თბილისელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილი იყო. თავიდან მხოლოდ ნიშნებიანი ნავები იყო, მერე პედლებიანიც შემოვიდა.

პატარაობისას საფრანგეთში ნავებით შეჯიბრება მოიგოო! ეს სიტყვები ისე სასხვათაშორისად წარმოთქვა რუსულად ნიკოლაძემ, რომ ჩანს, მისი ძმის ტუტეფეხანებთან და მყინვარწვერებთან, ალბინიზმებთან და ტანვარჯიშებთან, სოკოლებთან და შევარდენებთან, პრადებთან და პეტერბურგებთან შედარებით თავადაც ნაკლებში შენელოვინდა მიანდა. არც ხაზი გაუსვამს და არც არაფერი. მეტჯერ აღარც უხსენებია. მე კი, ყველა სიტყვის დასამახსოვრებლად ვიყავი მომართული და ეს სიტყვებიც დაიმახოვრებია, მაგრამ გახსენებით კი წლების შემდეგაც გამახსენდა, როცა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი გაეხდოდა, როცა ოლიმპიურ ისტორიას სერიოზულად ჩავუღრმავდი და როცა რუსულად ნიკოლაძე, სამწუხაროდ, უკვე აღარ იყო ცოცხალი.

პატარაობისას საფრანგეთში ნავებით შეჯიბრება მოიგოო! ექ, ნეტა მაშინვე მეკითხა და დამეზუსტებინა, კონკრეტულად როდის და რა შეჯიბრება მოიგო ნავებით გიორგი ნიკოლაძემ.

მერე და მერე, ოლიმპიურ ამბებში უკვე საკმაოდ ჩახედულმა, მე ეს სიტყვები ოლიმპიური თამაშების ისტორიის ერთ ერთ ყველაზე იდუმალად დღემდე ამოუცნობ ეპიზოდს დავუკავშირე.

აი, რას წერს ოლიმპიური თამაშების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული მკვლევარი, ამერიკელი დევიდ ვალენისკი თავის არაერთგზის გამოცემულ კაპიტალურ ნაშრომში, როცა 1900 წელს გამართულ ნიშნებისათვის რეგატას, კერძოდ – ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი და მესაჭიანი ნავებით ასპარეზობას ეხება:

„ეს შეჯიბრება ოლიმპიური თამაშების ისტორიის ყველაზე ხანგრძლივი გამოცანის წყაროდ იქცა: ვინ არის ოლიმპიური თამაშების უმრავლესი მოწოდებელი?“

პოლანდიელები ფრანსუა ანტუან ბრანდტი და რულოვ კლანი ასპარეზობის ძალზე ადვილად მოგებას ვარაუდობდნენ და ძალიან გაუკვირდათ, როცა საკვალიფიკაციო ტურში მარტინეტმა და ვალევმა მნ წაიბო

მოუგეს. თუმცა, მათი მარცხის მიზეზიც ნათელი იყო. პოლანდიელებს ნორმალური მესაჭე ჰქავდათ – დოქტორი ჰერმანუს ბროკმანი, რომელიც 60 კილოგრამს იწონიდა, მაშინ როცა საფრანგეთის ეკიპაჟებს ზაგ შეები აეგვანათ. პოლანდიელებმა გადაწყვიტეს, თვითონაც ასე მოქცეულიყვნენ ფინალში. მათ იბოვეს თითქოსდა სიმძიმის გამო ფრანგების დაწუნებული ადგილობრივი ბიჭი, რომელიც 33 კილოგრამს იწონიდა. ნავში მისი ჩასმის შემდეგ ბრანდტი და კლანი დაასვენეს, რომ იგი მათი ნავისთვის მეტისმეტად მსუბუქი იყო საიბოლოდ, რომ საჭე წვლით დაფარულიყო და საჭეზე დამატებით კიდევ ხუთი კილო დაკიდეს.

იმის შიშით, რომ ორი ფრანგული ეკიპაჟი ერთობლივ ბრძოლას გაუმართავდნენ, ბრანდტი და კლანი სტარტიდანვე გაიჭრნენ წინ. ისინი ფინალში საზამდეგ იმს იყვნენ და მარტინეტსა და ვალევს ერთ მეტრზე ნაკლებით მოუგეს.

ასაღგზრდა ფრანგმა მესაჭემ კარგა ხანს იტრიალა ირგვლივ, ისე რომ ფოტოც გადაუღეს მის ახალ პოლანდიელ ამხანაგებთან ერთად, მაგრამ მერე ქალაქში გაუჩინარდა. ტონი ბიიკერკისა თუ სხვა ისტორიკოსთა გამომდებელია და ინტენსიური ცდების მიუხედავად, მისი ვინაობის დადგენა ვერ მოხერხდა...“

ასევე ვერ მოხერხდა ფრანგთა ორი ეკიპაჟის მესაჭე ბიჭუნების ვინაობის დადგენაც, მაგრამ პოლანდიელთა მესაჭის ფოტოა მინც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ოლიმპიური თამაშების ისტორიისათვის, რადგან ფრანგთა მესაჭეებისაგან განსხვავებით იგი პირველ ადგილზე გაიწვინდა და ოლიმპიური ჩემპიონად ითვლება. არაერთი მკვლევარის აზრით, ის შეიძლება სულაც უმრავლესი ოლიმპიური ჩემპიონი იყოს ისტორიაში! უცნობი პარიზელი ბიჭუნას ასაკი სხვადასხვა გამოცემაში, სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვაა და 7-დან 12 წლამდე მერყეობს.

1900 წელს პარიზში გამართულ საერთაშორისო სპორტულ ასპარეზობას პირობითად ეწოდება ოლიმპიადა. ეს არის ყველაზე ხანგრძლივი, ყველაზე ამორფული, ყველაზე საკამათო თამაშები ოლიმპიადების ისტორიაში. იგი ჩატარდა როგორც პარიზის მსოფლიო გამოფენის ნაწილი და უაზროდ დიდხანს – ხუთთვენახევარს გაგრძელდა.

1900 წელს პარიზში ოლიმპიადის ჩატარება ჯერ კიდევ 1894 წელს დაიგეგმა, როცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პირველი კონგრესზე პიერ დე კუბერტენმა წინადადება წამოაყენა პირველი ოლიმპიადის, მისი მეტი პოპულარიზაციის მიზნით, პარიზში 1900 წლისთვის დაგეგმილი მსოფლიო გამოფენისთვის მიეძღვნათ და დაემზებიათ. მისი ეს წინადადება დელეგატებმა არ მიიღეს, რადგან ექვსწლიანი მოლოდინი მეტისმეტად ხანგრძლივად ჩათვალეს და იმის შიშით, თამაშებისადმი ინტერესი არ შენელებულიყო, გადაწყვიტეს, პირველი ოლიმპიადა 1896 წელს ჩატარებინათ ათენში, იმ ანგარიშით, რომ ოთხი წლის შემდეგ მეორე თამაშები სწორედ პარიზში გაემართათ.

როგორც აღმოჩნდა, კუბერტენის წინადადება სხვა მხრივაც მცდარი აღმოჩნდა – მსოფლიო გამოფენამ მთლიანად შთანქვა დღეს მეორე ოლიმპიადად წოდებული სპორტული ასპარეზობები და არაერთი პრობლემა და დღემდე მოურჩენელი თავისტიკილი გაუჩინა ცალკე საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს და ცალკე ოლიმპიური თამაშების ისტორიის სახეს თუ სტატისტიკოსებს. ვერა და ვერ დადგინდა, იმ წელს პარიზში ჩატარებული სპორტული ასპარეზობებიდან რომელი იყო ოლიმპიური პროგრამის ნაწილი და რომელი – არა. მეტიც – არავითარი ოლიმპიური პროგრამა მაშინ არ არსებობდა, თვით სიტყვა „ოლიმპიურიც“ კი იმდენად იშვიათად იხმარებოდა, რომ იმ ოლიმპიადის დღეს ოფიციალურად მიჩნეულ ორტომიან ანგარიშში სიტყვა „ოლიმპიური“ ერთხელაც არ არის ნახსენები. ის კი არა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი საერთოდ არ გააკარგა ამ თამაშებს, თუმცა, მის ჩასატარებლად სოკმა სპეციალური საორგანიზაციო კომიტეტიც კი შექმნა, რომელმაც თავის პირველსავე ხსდომაზე 1898 წლის 29 მაისს თამაშების პროგრამაც შეიმუშავა და მალე სპორტსმენთა მიზატიყებაც დაიწყო.

პარიზის გამოფენის გენერალური კომისარი ალფრედ ბიკარი სპორტს „უსარგებლო და აბსურდულ“ აქტივობად მიიჩნევდა და თავიდან კატეგორიულად იწინააღმდეგე იყო არათუ გამოფენის ფარგლებში, თუნდაც მის პარალელურად ყოველგვარი სპორტული ასპარეზობის გამართვისა. დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ იგი მაინც დაიყოლიეს და, როგორც ჩანს, ამით კმაყოფილმა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უბრძოლველად დაუთმო 1900 წლის თამაშების საფრანგეთის ალფრედ ბიკარის კავშირს, რომელმაც 1898 წლის 6 ნოემბერს გამოაცხადა, რომ მხოლოდ მას ჰქონდა გამოფენის ფარგლებსა თუ პერიოდში ამა თუ იმ სპორტულ ასპარეზობის ჩატარების უფლება. აქ ალბათ გადაწყვეტი იყო ის ფაქტორი, რომ პიერ დე კუბერტენი, გარდა იმისა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი იყო, ამ კავშირის გენერალური მდივანიც გახლდათ. სწორედ ამ სტატუსით არის იგი შეყვანილი გამოფენის ფიზიკური ვარჯიშების კონგრამის საორგანიზაციო კომისიაში. კომისიის ოფიციალური თავმჯდომარე გამოფენის გენერალური კომისარი ალფრედ ბიკარი იყო, ხოლო უშუალო ხელმძღვანელობას მისი პრეზიდენტი, გენერალი მორის ბაილო და ვიცე-პრეზიდენტი, საფრანგეთის სასროლო სპორტის ასოციაციის თავმჯდომარე დანიელ მერილონი ახორციელებდნენ.

გენერალ ბაილოს კომისია 1899 წლის 19 თებერვალს შეიქმნა საფრანგეთის ვაჭრობის, მრეწველობისა და ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტროს დადგენილებით და მან მრავალი სპორტული ასპარეზობა დაგეგმა და ჩაატარა, რომელთა მხოლოდ ერთი ნაწილი შეადგენს მეორე ოლიმპიადის ოლიმპიური პროგრამის ნაწილად არ ჩაითვება ასპარეზობები, სადაც მხოლოდ ერთი ქვეყნის სპორტსმენები ან მხოლოდ იუნორები ასპარეზობდნენ, აგრეთვე ის კონკურსები, სადაც უნარშეზღუდული სპორტსმენები, ან პროფესიონალები (ფარიკაობის გარდა) გამოდიოდნენ და სადაც შეჯიბრებაში მხოლოდ უბეჭული ტექნიკა იყო გამოყენებული. თუმცა, რატომღაც ოლიმპიურად არ ჩათვალეს წინა ოლიმპიადის პროგრამაში შეტანილი ორი სახეობა – ჭიდაობა და ძალოსნობა.

„სამაგიეროდ“ პარიზში პირველად ჩატარებული ნიშნებისათვის ასპარეზობების ნაწილი ოლიმპიური ისტორიის ნაწილად არის მიჩნეული.

ნიშნებისათვის რეგატა 19 და 26 აგვისტოს გაიმართა; 19 აგვისტოს – საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, მდინარე მარნზე, 26-ში კი – საკუთრივ პარიზში, მდინარე სენაზე, კურბევეუ-ანსიერის მიდამოებში. 26-ში კვირას,

თითოეულ ფინალურ რეგატაში მარნზე გამოვლენილი 4-7 საუკეთესო ეკიპაჟი მონაწილეობდა.

ორადგილიანებში შვიდი ეკიპაჟი გამოდიოდა, რომელთაგან ხუთი საფრანგეთს წარმოადგენდა. შვიდი ეკიპაჟი ორ ნახევარფინალში ეცილებოდა ერთმანეთს ფინალის ოთხ საგზურს. პოლანდიელები – მომავალი გამარჯვებულები – სამწვანი ნახევარფინალში მოხვდნენ, მაგრამ მარნის სანქლოსონი კლუბის ეკიპაჟმა აჯობა და პოლანდიელები ფინალში მეორე ადგილიდან გავიდნენ.

ნიშნებისათვის ასპარეზობაში რვა ქვეყნის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. არც ერთ მათგანს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ ოლიმპიურ თამაშებში ლეგულადა მონაწილეობას. ეს იყო პარიზის გამოფენის სპორტული პროგრამით გათვალისწინებული ნიშნებისათვის საერთაშორისო რეგატა, მეტი არაფერი.

ნიშნებისათვის ასპარეზობაში სულ ცხრა სახეობაში გამართეს, აქედან ოთხი, სადაც მონაწილეობა ასაკით იყო შეზღუდული და მხოლოდ იუნორები გამოდიოდნენ, ოლიმპიური სტატისტიკიდან გამოირიცხა, ოთხი კი – ერთადგილიანი, ორადგილიანი (მესაჭით), ოთხადგილიანი (მესაჭით) და რვა-ადგილიანი – ოლიმპიური ისტორიის ნაწილად იქცა.

ხოლო ამ ისტორიაში ერთი ყველაზე ხანგრძლივი და ყველაზე იდუმალი თეორიული ლაქა იმ პარიზელი ბიჭუნას ვინაობაა, ორადგილიანთა ასპარეზობაში რომ გაიმარჯვა პოლანდიელთა ეკიპაჟთან ერთად.

რამდენჯერაც ეს თეორიული ლაქა შემეხვედრება ამა თუ იმ გამოცემაში ან რომელიმე საიტზე, იმდენჯერ რუსულად ნიკოლაძის ის სიტყვები წამომოტივტივდებოდა, ჩემდაუნებურად ასე ღრმად რომ ჩამრჩენოდა მესხიერებაში.

პატარაობისას საფრანგეთში ნავებით შეჯიბრება მოიგოო!

რა არის საჭირო იმისათვის, რომ რომელიმე ნავებით შეჯიბრება, რომელიც საფრანგეთში გამართულა და რომელშიც გიორგი ნიკოლაძეს გაუმარჯვია, სწორედ ის რეგატა აღმოჩნდეს, რომელშიც პოლანდიელთა ეკი-



ფრანსუა ბრანდტი, ბიორგი ნიკოლაძე და რულოვ კლანი (1900, პარიზი).

პაჟმა გაიმარჯვა პარიზულ ბიჭუნასთან ერთად?

ამისათვის, სულ ცოტა, საჭიროა, რომ: გიორგი ნიკოლაძე 1900 წელს იყოს 7-12 წლისა; გიორგი ნიკოლაძე ზაგ შეზღუდულად უნდა ლაპარაკობდეს ფრანგულად; გიორგი ნიკოლაძე ზაგ შეზღუდულად უნდა იყოს მიდრეკილი სპორტისაკენ. გიორგი ნიკოლაძე შესაბამის ასაკში გარეგნულად უნდა ჰგავდეს შემორჩენილ ფოტოზე აღბეჭდილ პარიზელ ბიჭუნას; და რაც მთავარია: გიორგი ნიკოლაძე 1900 წლის 26 აგვისტოს აუცილებლად უნდა იყოს პარიზში!

მივყვით თანმიმდევრობით. გიორგი ნიკოლაძე 1900 წელს 7-12 წლისა უნდა იყოსო. გიორგი ნიკოლაძე დაიბადა 1888 წლის 29 ივლისს. ასე რომ, 1900 წლის 26 აგვისტოს იგი 12 წლისა და 28 დღისაა. გიორგი ნიკოლაძე ზაგ შეზღუდულად უნდა ლაპარაკობდეს ფრანგულადო. გიორგი ნიკოლაძე ზაგ შეზღუდულად უნდა ლაპარაკობდა ფრანგულად. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ ფრანგული ნიკოლაძეთა ოჯახში მეორე მშობლიური ენა იყო.

გიორგი ნიკოლაძე ზაგ შეზღუდულად უნდა იყოს მიდრეკილი სპორტისკენო. გიორგი ნიკოლაძე ზაგ შეზღუდულად უნდა იყოს მიდრეკილი სპორტისაკენ. მამამისმა სახლში სატანვარჯიშო დარბაზი მოუწყო ორმეტოთა თუ რგოლებით. 1901 წელს კი იგი თავის დებთან – 16 წლის რუსულადთან და 9 წლის თამართან ერთად შვეიცარიაში მოგზაურობისას ადის მწვერვალ ტეტ-დე-ჟენაზე.

გარეგნულად უნდა ჰგავდეს იმ პარიზელ ბიჭუნასო. შემორჩენილია მამინდელი ფოტოსურათი (იხ. ქვემოთ), რომელიც შეიცვარა იმ, მორყენის ტბაზე გადაღულა ნიკოლაძის მეუღლეს, ოლგა გურამიშვილის და რომელზეც თამარ და გიორგი ნიკოლაძეები არიან აღბეჭდილი. იმის მიუხედავად, რომ, უცნობი პარიზელი ბიჭუნას იმ ფოტოსი არ იყოს, არც ეს სურათი გამოირჩევა საუკეთესო ხარისხით, დაკვირვებულ მკითხველს მაინც არ გაუჭირდება ამ ორი ბიჭის შორის მსგავსების აღმოჩენა.

და რაც მთავარია: გიორგი ნიკოლაძე 1900 წლის 26 აგვისტოს აუცილებლად უნდა იყოს პარიზშიო.

ჩემს ხელთ არის რუსულად ნიკოლაძის მოგონება, რომელიც მას 1964 წლის 20 სექტემბერს, თავისი დის, თამარის გარდაცვალებიდან 25 წლისთავის გამო დაუწერია და რომელიც, მიუხედავად ნეკროლოგიური სათაურისა – „თამარ ნიკოლაძე-მუსხელიშვილი“, სიცოცხლით არის სავსე და რომელ-

# გიორგი ნიკოლაძე

შეცხვილი ეპიზოდები აღწერილი, მანამდე რომ არსად წამოვიტყვი. თუმცა, წერილს ერთი პიროვნების სახელი ჰქვია სათაურად და მისი გარდაცვალების თარიღს ეძღვნება, მასში მრავლადაა ინფორმაცია არა მარტო თამარ ნიკოლაძეზე, არამედ მის ძმაზეც, მის ბავშვობის დროინდელ სპორტულ მიდრეკილებებზეც და საერთოდ, მთელ ოჯახზე:

„1900 წლის ზაფხულში „სამხედრო“ გზით ნიკო ნიკოლაძის ოჯახი ჯერ კავკასიაში მიემგზავრება თბილისიდან, ილიას „მგზავრის წერილით“ გზის სანაზღაურებელი მინარტყლების გასვლით. მიუხედავად იმისა, რომ ანანურის ციხე-სიმაგრე და მთელმა ანსამბლამც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მ წლის თამარზე და 12 წლის გიორგიზე (ისევე, როგორც მღვთის აღმართის აღებამ ოთხცხენიანი ღია ველებით), ყველაზე უფრო ამოუფხვრელად ჩაებეჭდა მათ გულში მყინვარწვერის მძლავრი სიდიადე და თერგდალეულთა „მედროშე“ უკვედავი თერგის ურჩობა დარიალანის მრისხანე კლდეების „ხერხელში“...

ამას მოსკოვის კრემლის გაცნობა მოჰყვა... მერე წევს ნაბიჯებისა. პეტრობურგიდან პარიზში წაგვიყვანა მამამ, ბერლინში 3 დღის გატარებით, რომელთა განმავლობაში პატარა თამარს მთელი ყურადღება აქაც ბერლინის განთქმულმა „ტირგარტენმა“ – ზოლოტიურმა ბაღმა მიიპყრო და ამაზე არანაკლებ ბერლინის ცნობილმა აკადემიკოსმა, რომლიდანაც ბავშვის გამოყვანა დედას და მამას თითქმის ძალით უხდებოდათ, ისე იყო ამ წყლის ცხოველების სილაბაზით და მათი ცხოვრების თავისებურებით დაინტერესებული და მიზიდული ეს პატარა გოგონა.

პარიზში სამ კვირამდე დაგრძობ და უკან ვენის გამოვლით დაგბრუნდით. მაგრამ იმ ჩასვლისას ვენას ჩვენზე თითქმის არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდინა პარიზის და მისი გამოფენის სასწაულებს შემდეგ. პარიზში ყოფნიდან კი მთავარი კვალი თამარს წარმოადგენს, რა თქმა უნდა, ვიფლის კოშკს და მასზედ ლიფტით ასვლა-ჩამოსვლას ჰქონდა დატოვებული. და ამაზედ არა ნაკლებად სწორედ იმ პერიოდში ვეროპაში ფართოდ გაშლილ „შუქის რეკლამების“ მრავალფეროვანი ურთიერთ-



თამარ და გიორგი ნიკოლაძეები (1901, მორსენის ტბა, შვეიცარია).

ვლის „სასწაულებს“ პარიზის ბნელი ღამის შავი ცის ფონზე. და აგრეთვე ქვეყნიდან მრავალფეროვანად „მინათებულ“ შადრევანთა მალა ატყორცნილი ჭაგვლების თვალწარმტაც ერთობლიობას, რომელსაც გამოყვანა „წყლის სასახლე“ ჰქონდა წოდებული. ვენის სასახლის სასახლის შადრევანებზე ძალიან მოხიბლა თამარ და ერთი თვით ადრე ნახულმა პეტროპოვის შადრევანებზედ პეტროპოვთან. წყალი და კემოდ ზღვა ან შადრევანები ათამაგებულნი ჭაგვლების სილაბაზი პატარა ბავშვობიდანვე იზიდავდა მის თვალს და მომავალი სპორტსმენის გულს...

1901 წლის შემოდგომიდან თამარ ქალთა | გიმნაზიის მოსამზადებელი კლასის უფროსი განყოფილების მონაწილეა, როდესაც გიორგი, მისი ძმა უკვე ვაჟთა | გიმნაზიის III კლასის მოსწავლეა და უკვე იმდენად არის ტანჯვარჯიშით დაინტერესებული (ლუკაშის მიერ გიმნაზიაში გაშლილი იარაღებზე და გურუბით ვარჯიშით), რომ მისი თხოვნით მამამ ჩვენი იმდროინდელი ბიზის ენოში დღემდე მოუწყო გიორგის სავარჯიშო და ბატარა თამარს სულ იმ ღერძს არ შორდებოდა გიორგის ან მისი ამხანაგების ვარჯიშის დროს და მისი ოცნება იყო, მასაც დაეწყო ასეთივე ვარჯიში, როგორც კი „გაიზრდებოდა“ და მასაც ნებას მისცემდნენ იარაღებზე ასვლას...

ზაფხულში 1900 წლიდან 1905 წლამდე მთელი ოჯახი ვეროპაში მოგზაურობას ანდობდა. მეს. წილად ეს არის საფრანგეთის ყველა რაიონები, შვეიცარია მისი მთავარდროებითა და იტალია მისი ხელოვნებითა და მხატვრული ქალაქებით.

1901 წლის ზაფხულს ოჯახი ნიკოლაძე შვილებით ატარებდა შვეიცარიის ფრანგულ ნაწილში, ვენის ტბის სამხრეთით მოქცეულ ალპებში, ცნობილი მორენის კურორტის ხეობაში, სადაც 13 წლის გიორგიმ განიზრახა ალპინიზმისთვის ზიარება და პირველ საცდელ მთად აირჩია იმ კურორტის თავზე გაშლილი ქედის უწინესი და უმაღლესი მწვერვალი „ბუმბერაზის თავი“ (ტეტ დე ფან), თუმცა მხოლოდ 3000 თუ 3200 მეტრია, მაგრამ ტექნიკურად ძალიან ძნელად მისაღწევია (ციცაბო, შიშველი ფერდობის გზით). ამ „ექსპედიციის“ მან მხოლოდ თავისი დები ჩართო, რომელთაც თამარი ჯერ მხოლოდ 9 წლის იყო. მიუხედავად ამისა მან ბრწყინვალედ გადალახა მასთან ერთად ამ ასვლის (და უკან დაშვების) ყველა სიძნელე (ექსპედიცია გაგრძელდა 9-10 საათი), რის შემდეგ თამარს მცენოტელის ახალგაზრდობამ ხუმრობით „საბატო ალპინისტ-ქალის“ დიპლომი მიართვა იმ ასვლის მეორე დღეს მოწოდებლად საცეკვაო სადამოზე, რომელიც თამარს ძალიან უყვარდა და საოცარი მოხდენილობით ასრულებდა ყოველ ცეკვას, დაუღალავად და გატაცებით...”

ეს მოგონება გასული საუკუნის 90-იან წლებში ნიკოლაძეთა ოჯახთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო მასალასთან ერთად გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციაში გადმოცემა სა სა სიგუამ, – ამათ ახლა გენზე უკეთ ვერავინ მი-

ხედავსო. თან გიორგი ნიკოლაძეზე დაწერილი თავისი წიგნი მაჩუქა სა-მახსოვრო წარწერით.

როგორც არ უნდა მთელ ოჯახზე იყოს ინფორმაცია, რუსუდან ნიკოლაძის ეს მოგონება მაინც თამარ ნიკოლაძეზე და გიორგიზე მეტის თქმა რუსუდან ნიკოლაძემ, როგორც ჩანს, აქ საჭიროდ არ ჩათვალა. როცა სა-შა სიგუამ რუსუდან ნიკოლაძის ეს და სხვა ტექსტები გადმოცემა, სწორედ მაშინ ვკითხე, ხომ არ ვახსოვთ, რუსუდან ნიკოლაძესთან რომ ვიყავით სტუმრად და მან გიორგი ნიკოლაძის ნავებით რაღაც შევიძინე გამარჯვება ახსენა-მეთქი. არ ახსოვდა. იქნებ თავად გიორგი ნიკოლაძემ გითხრა რამე ბავშვობაში ნავებით ასპარეზობის შესახებ-მეთქი. ალექსანდრე სიგუას ნიკოლაძესთან საკმაოდ ახლო ურთიერთობა ჰქონდა წლების განმავლობაში. არაო, არაფერი მსგავსი არ მახსენდება.

მე კი უკვე იმ დროს თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ უცნობი პარიზელი ბიჭუნა სწორედ გიორგი ნიკოლაძე უნდა ყოფილიყო. რატომ არ შეიძლება, რომ პარიზში, სადაც ნიკო ნიკოლაძე მთელი ოჯახით იყო ჩასული და სადაც ისინი პარიზის „გამოფენის სასწაულებს“ ათვალთვლებდნენ, სპორტულ ასპარეზობებსაც სწევდნენ? შეიძლება კი არა, ეს უეჭველად ასეც იქნებოდა. ნიკო ნიკოლაძე იყო დაინტერესებული ბავშვების ფიზიკური განვითარებითა და მათი სპორტში ჩაბმით. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ნიკო ნიკოლაძე და მისი ოჯახის წევრები ოლიმპიური თამაშების პირველი ქართველი მასწავლებლები იყვნენ.

მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ სპორტით გატაცებული პატარა გიორგი რომელიმე სპორტულ ასპარეზობაზე ერთ მშვენიერ კვირა დღეს – 26 აგვისტო კი სწორედ კვირა იყო – დამოუკიდებლად წასულიყო? ის რომ საკმაოდ დამოუკიდებელი და თამაში ბავშვი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მოუდევრო წელს, 1901-ში დეზი მარტომ წაიყვანა ალპინისტურ ლაშქრობაში სერიოზულ მწვერვალზე.

რატომ არ შეიძლება, რომ 26 აგვისტოს იგი სწორედ ნიჩხოსანთა ფინალურ რეგატაზე აღმოჩენილიყო? მით უმეტეს, რომ იმ დღეს სხვა სპორტული ასპარეზობა არ ჩატარებულა, ხოლო მთელი პარიზი და მისი მიდამოები რეგატის აფიშებით იყო მოფენილი. აკი წერია ზემოთ ნახსენებ ოფიციალურ ანგარიშში, რომ რეგატის წინა დღეებში პარიზში და მის მიდამოებში 6000 პლაკატი გააკრეს, რომლებიც პარიზელებს რეგატაზე იწვევდნენ.

რატომ არ შეიძლება, 12 წლის გიორგი ნიკოლაძე იმ მრავალრიცხოვან პარიზელთა შორის აღმოჩენილიყო, რომლებიც სენის სანაპიროზე რეგატის საყურებლად შეიკრიბნენ 26 აგვისტოს შუადღისას?

რატომ არ შეიძლება სწორედ ის გამოურჩიათ ბრანდსა და კლინს თავით მესაჭედ? ან თავიანთი ნავედან გაქცეული ბროკმანის შემცველს ჰოლანდიდან ხომ არ გამოიწერდნენ?

რატომ არ შეიძლება, ფრანგულად მშვენივრად მოლაპარაკე გიორგი ნიკოლაძე პარიზელ ბიჭუნად ჩათვალათ ჰოლანდიელებსაც და სხვებსაც?

რატომ არ შეიძლება, სწორედ ის იყოს აღბეჭდილი იმ ცნობილ ფოტოზე, რომელიც დღემდე მოსვენებას უკარგავს ოლიმპიური თამაშების ისტორიკოსებს?

შეიძლება, რატომაც არ შეიძლება! კი მაგრამ, მაშინ სად არის მისი გამარჯვების მთავარი დამადასტურებელი ჯილდო – ოლიმპიური მედალი?

საქმე ისაა, რომ 1900 წლის თამაშებზე ოლიმპიური მედლები არ გაცემულა! დღეს 1900 წლის თამაშების ოლიმპიურ მედლებად მიჩნეული პლაკეტები – მართლაც მედლები – პარიზის გამოფენის ჯილდოებია და არა ოლიმპიადისა. თუმცა, ზოგიერთ სახეობაში გამარჯვებულებს მისცეს ასეთი მედალი, რომელზეც დაწვინს რტოთი ხელდასმეული ანტიკური ათლეტის ფიგურა იყო გამოსახული, მაგრამ ნიჩხოსნობა ამ სახეობათა რიცხვში არ ყოფილა.


დოკუმენტურად არის ცნობილი, რომ სანიჩოსნო რეგატაში გამარჯვებულებს 600 ფრანკით აჯილდოებდნენ, და კიდევ – ხელოვნების ნიმუშით (ოფიციალური ანგარიში, ტ. II, გვ. 5), რომელიც, როგორც ოლიმპიური თამაშების ისტორიკოსებმა გაარკვიეს, უმეტეს შემთხვევაში ნახატს წარმოადგენდა, თუმცა ჰოლანდიელებისთვის ქალის მოძირი სტატუტები მოუცევო. რეგატის საორგანიზაციო კომიტეტს, იმავე წყაროს ცნობით, განსაკუთრებით უზრუნია საპრიზო ნივთების შესაქნად.

თუნდაც „უცნობი პარიზელი ბიჭუნასთვის“ იმ 600 ფრანკიდან წილი მიეცათ, ამას ჩვენ მაინც ვერ გავიგებდით. ან რომც დაეჯილდოებინათ რაგინდარა სტატუტებით, ნახატით თუ ხელოვნების სხვა რამ ნიმუშით, საეჭვოა, მათი კვალი მატერიალურად შემორჩენილიყო. არაო, „უცნობი პარიზელი ბიჭუნა“ პრიზი, პარიზის თამაშების გამარჯვებულთა ამგვარი ჯილდოებიდან სულ ორიოდეა მიკვლეული.

რატომ არსად არაფერია ნათქვამი მის ამ გამარჯვებაზე? რატომ არსად არაფერი აღწერა ამაზე რუსუდან ნიკოლაძემ? რატომ არაფერი იცოდა ამის შესახებ ალექსანდრე სიგუამ? თვითონ მაინც რატომ არსად არ ახსენებს ბავშვობის დროინდელ ამ ეპიზოდს?

ჯერ ერთი, გიორგი ნიკოლაძე მოულოდნელად გარდაიცვალა ძალზე ახალგაზრდა და სხვაც ბევრი დარჩა უთქმელი. გარდა ამისა, 1900 წლის თამაშები დღეს ითვლება ოლიმპიური ისტორიის ნაწილად, თორემ თავის დროზე, მას ფართო საზოგადოება ასეთად არ მიიჩნევდა. და რომც მიეჩნიათ ასეთად, პირველ ათლეტებში არც თავად ოლიმპიური მოძრაობა გახლდათ დიდად პოპულარული. განსაკუთრებით გულგრილი იყო მის მიმართ რუსეთის იმპერია, იმდენად, რომ არაოთუ 1900 წელს, მთელი 12 წლის შემდეგ, 1912-ში, როცა რუსეთმა სოლიდური გუნდი გააგზავნა ოლიმპიურ სტოკჰოლმში, იმდროინდელ რუსულ პრესაში სანათლით არის საქმენილი თუნდაც სულ პანანა ინფორმაცია ოლიმპიური თამაშების შესახებ.

საზგასამებელია, რომ ოლიმპიური თამაშები და ოლიმპიური მოძრაობა საერთოდ 1936 წლის, ბერლინის თამაშების შემდეგ იქცა მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ მოვლენად, ხოლო დღევანდელი მასშტაბი სულაც ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე შეიძინა. გიორგი ნიკოლაძისა და მისი თაობისათვის გაცილებით მნიშვნელოვანი „სოკოლის“ მოძრაობა იყო. აკი შექმნეს კიდევ „სოკოლის“ ქართული ანალოგი – სპორტული საზოგადოება „შეგარდენი“. ალბათ არ არის შემთხვევითი, რომ თუმცა მისმა ხანმოკლე ციცოცხლემ პირველი რვა ოლიმპიადი მოიცვა, ქარ-



თული სპორტის პიონერი, მის თანამედროვე სპორტულ სინამდვილეში საკმაოდ ღრმად ჩახედული ადამიანი, არასოდეს დაინტერესებულა ოლიმპიური მოძრაობით. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ასეთი ინტერესი კვალი არსად ჩანს. თანამედროვე მკითხველისათვის ალბათ ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ 1901 წელს მსოფლიო გამოფენის პროგრამით გამართულ ნიჩხოსანთ რეგატაში გამარჯვება და მონაწილეობა არამც და არამც არ იქნებოდა მნიშვნელოვანი მოვლენა, მით უმეტეს გიორგი ნიკოლაძისათვის, რომლისთვისაც, თუ იგი მართლაც ის „უცნობი პარიზელი ბიჭუნა“, ეს გამარჯვება და მონაწილეობა შემთხვევითი რამ მოვლენა იყო.

„უცნობი პარიზელი ბიჭუნა“ უცნობი კი იყო, მაგრამ მართლაც პარიზელი რომ ყოფილიყო, რაც იგი ეძებს, ამდენი წლის განმავლობაში ან თვითონ იცნობდა თავის თავს სურათზე ან ვინმე მისიანი, ნათესავი თუ ნაცნობი... კარგი, ვთქვათ, გასულ საუკუნეში ეს ძალიან ძნელი იყო, ახლა, ინტერნეტის ეპოქაში რაღად გაჭირდა მისი იდენტიფიკაცია, რატომ არ გამოუჩნდა მცნობი ან პატრონი?

იმაღ, რომ იქ არ უძებნიათ, სადაც უნდა ეძებნათ: იგი უცნობი კი იყო, მაგრამ პარიზელი არ ყოფილა! ქართველი იყო, საქართველოდან. იგი უკვე მაშინ დგამდა პირველ ნაბიჯებს საიმიხოდ, რომ ქართველი სპორტის მე-სამიწველ გამოდარიყო და ოქროს ასოების ჩაქურთავი იყოს სახელი სა-ქართველის ისტორიაში; სხვათა შორის, – სენაზე მოპოვებული იმ გამარჯვების გარეშე, ჩაუთვლელად და მიუხედავად!

„უცნობი პარიზელი ბიჭუნა“ და გიორგი ნიკოლაძის იგივეობის თემა დიდი ხანია მანვალეს. სულ ცოტა, 20 წელიწადია, ეს ჩემი ვერსია მინდა გამოვეყენო, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვეძებდი და კვლავაც ვეძებ ჩემი მოსაზრების გასამყარებელ არგუმენტებს. არ არის გამოირიცხული, სადმე გამოჩნდეს კიდევ რაიმე ახალი საბუთი. ამ მხრივ გიორგი ნიკოლაძის ჯერ შეუსწავლელი წერილები მეიმედება.

გამოქვეყნებას ალბათ არც ახლა ვიქნარებდი, მაგრამ, ერთი მხრივ, გიორგი ნიკოლაძის 125-ე წლისთავი კარგი საბაბია ამ ვერსიის გასაქვეყნებლად, ხოლო, მეორე მხრივ, „უცნობი პარიზელი ბიჭუნა“ ნელ-ნელა ქრება ოლიმპიური ანალებიდან: როგორც ბოლოდროინდელი პუბლიკაციებიდან ირკვევა, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი და სპორტის ისტორიკოსები პრობლემის მოგვარებას მარტივად ცდილობენ: კი, არსებობდა „უცნობი პარიზელი ბიჭუნა“, რომელმაც ფინალში იასპარეზა და თუ ის რეგატა ოლიმპიურ რეგატად არის მიჩნეული, ყველა წესის მიხედვით, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული ეკუთვნის, მაგრამ რა კი ნახევარფინალში პერმანუს ბროკმანი იყო მესაჭე, ჩემპიონადაც ის გამოცხადდა. დოქტორი პერმანუს ბროკმანი სახელოვანი ჰოლანდიელი ნიჩხოსანია, სწორედ ის იყო მოსწონი ნაივის „მინერვა ამსტერდამის“ ეკიპაჟის ძირითადი წევრი, მაგრამ მას ფინალში მონაწილეობა არ მიუღია და სულ ბოლო დრომდე საცნობარო გამოცემათა უმეტესობა, თუ საერთოდ ახსენებდა მას, „უცნობი პარიზელი ბიჭუნას“ გვერდით ფრჩხილებში მოუთითებდა, ხოლო ეკიპაჟი არა ჰოლანდიურად, არამედ შერეულად იყო მიჩნეული.

ბროკმანმა პარიზში მეორე (ოთხადგილიანებში) და მესამე (რვაადგილიანებში) ადგილები დაიკავა, და თუმცა ორადგილიანებში მისი ეკიპაჟი მასთან ერთად იმ სამწავიან ნახევარფინალში მხოლოდ მეორე ადგილზე გავიდა, შარშან მას ოლიმპიური ჩემპიონობაც დაუმტკიცეს, რაზეც აღფრთოვანებული წერდნენ ჩემი ჰოლანდიელი კოლეგები. ეს ფაქტი მათთვის დანსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ამის გარეშე ვერ გაურკვევიათ, ვინ არის მათი მე-100 ოლიმპიური ჩემპიონი და ვინ – 101-ე. ბრანდტთან და კლინთან ერთად უკვე მხოლოდ ბროკმანია მითითებული ოლიმპიურ ჩემპიონთა ნუსხაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საიტზე, თუმცა აქ, ჰოლანდიური საინფორმაციო საშუალებებისაგან განსხვავებით, ეკიპაჟი კვლავ „შერეულად“ არის მიჩნეული და ამ საშუალების გვარებს წინ არა ჰოლანდიის დროშის, არამედ ოლიმპიური დროშის გამოსახულება უძღვის. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ „უცნობი პარიზელი ბიჭუნა“ მთლიანად არ გამქრალა სოკის ოფიციალური საიტებიდან: იგი იმ ადგილას არის ნახსენები, სადაც ოლიმპიური თამაშების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილეებსა და ჩემპიონებზეა საუბარი.

ჩემი ვერსიით, „უცნობი პარიზელი ბიჭუნა“ სულაც არ არის არც უმრწემესი ჩემპიონი და არც უმრწემესი ოლიმპიელი, მაგრამ ეს როდია ახლა მთავარი...

დიდი ინტერესით გავცნობი ყველა სხვა ვერსიას, მაგრამ ასეთი ჯერ არსად ჩანს.

არადა, თავიდან არ ამოდის, რუსუდან ნიკოლაძის მიერ მთელი 35 წლის წინათ ჩემთვის ნათქვამი სიტყვები:

პატარაობისას გიორგი ნიკოლაძემ საფრანგეთში ნავებით შევიძინე მოიგო!

რას წერენ, რას აზრობენ ჩვენზე

ნატოს ხელმძღვანელმა დაგმო რუსეთის საზღვრის გადატანა საქართველოს სებარატის-ტული რეგიონის - აფხაზეთის - სიღრმეში, რაც მოსკოვმა წარმოადგინა, როგორც დროებითი ნაბიჯი უსაფრთხოების ზონის გაფართოების მიზნით სოჭში ზამთრის ოლიმპიადის დროს.

„ჩვენ აღვნიშნეთ ამასწინანდელი გადაწყვეტილება აფხაზეთის ეგრეთ წოდებული საზღვრის ზონის დროებითი გაფართოების შესახებ საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე“, - განაცხადა ნატოს ხელმძღვანელმა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

„ჩვენ დიდად შეშფოთებული ვართ ამ გადაწყვეტილებით“, - დაუმატა მან, როდესაც გამოდიოდა ბრიუსელში პრესკონფერენციაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიაშვილთან მოლაპარაკების შემდეგ.

2008 წელს, საქართველოსთან ხანმოკლე ომის შემდეგ, მოსკოვმა აღიარა აფხაზეთი და კიდეც ერთი მემბროზე ქართული პროვინცია სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.

იანვარში თბილისმა დაგმო რუსეთის საზღვრის გადატანა აფხაზეთის სიღრმეში II კილომეტრით, უწოდა მას „უკანონო მოქმედებები“, რომლებიც არღვევენ საქართველოს სუვერენიტეტს. რუსეთმა საზღვრის გადატანას უწოდა დროებითი ღონისძიება უსაფრთხოების ბუფერული ზონის შექმნის მიზნით ოლიმპიადისთან დაკავშირებით.

ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ნატო გაიმყარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის მხარდაჭერით „საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში“



ბით, რომელიც პარასკევს გაიხსნა სოჭში. საქართველოს არ აქვს დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთთან 2008 წლის ომის შემდეგ და არ აპირებს, გაგზავნოს მთავრობის დელეგაცია სოჭის ოლიმპიადაზე, თუმცა, ქართველი სპორტსმენები შეჯიბრებებში მონაწილეობენ.

რასმუსენმა განაცხადა, რომ ნატო „მტკიცედ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, მისი საზღვრების საერთაშორისოდ აღიარების ფარგლებში“. მან ასევე გააკრიტიკა რუსეთის სამხრეთ ოსეთის გარშემო მავთულხლართების დაბრკოლებების აგებისთვის.

„ჯებირებისა და სხვა ბარიერების მშენებლობა მიუღებელია, ეს ეწინააღმდეგება საერთაშორისო უფლებებს და თავად რუსეთის საკუთარი ვალდებულებებს. ეს ხელს უშლის მოსახლეობის თავისუფალ გადაადგილებასა და ცხოვრების უზრუნველყოფას და უნდა გაუქმდეს, - თქვა ნატოს გენერალურმა მდივანმა. - XXI საუკუნეში საქართველო, ვაგებდეთ სიდეგს და არა ღობურებს“.

2008 წელს ნატოს ხელმძღვანელობა დაგვირგაძის, რომ საქართველო საბოლოოდ შეუერთდება ამ ალიანსს, მაგრამ მისი განაცხადი შეჩერდა რუსეთთან ომის შემდეგ.

რასმუსენის სიტყვებით, ნატოს ვალდებულებანი საქართველოსთან დამოკიდებულებაში, რომლებიც მან იკისრა 2008 წელს, ძალაში რჩება. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ ალიანსს ჯერ კიდევ არ მიუღია გადაწყვეტილება იმის შესახებ, შეძლებს თუ არა თბილისის მიუხედავად გაუშვას იმისთვის ნატოს შემდგომ სამიტზე, რომელიც სექტემბერში გაიმართება უელსში.

დედაშიწის ზურგზე



ურჯბაძის პრეზიდენტი წარადგინა მშვიდობის ნობელის პრემიაზე მხარს უჭერს ლეონიდას ზაქარაიას

„მეგობარე ღირსი პრეზიდენტი“ ხოსე მუხიკა მეორედ წარადგინა ნობელის პრემიის მოსალოდნელად. ერთ-ერთი რამდენიმე ორგანიზაციამ გადაწყვიტა, მოახდინოს მისი კანდიდატურის ლობირება ნარკოტიკებისა და ტერორიზმის საერთაშორისო დღიური მიდგომისთვის. „რეპრესიები აღარ მოქმედებს. ჩვენ არ ვიცით, გამოგვიგია ეს თუ არა“, - თავმდაბლურად განაცხადა ნომინანტი.

ნაზარბაძის სურს, მანახაიის შიშვალის სახელი მანახაი-ილით - ეპონომიის კათოლიკოსისთვის



სწორედ იმისთვის, რომ სახელწოდებაში „მანახაი“ არის დაბოლოება - „სტანი“, რესპუბლიკის პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი ხედავს იმის მიზნს, რომ ინვესტირებაში მცირე ყურადღებას უთმობენ 17-მილიონიან ქვეყანას, რომელიც აწარმოებს ნავთობისა და ლითონის ექსპორტირებას. და არ ცდილობენ, დააფინანსონ მისი ეკონომიკა.

თომას რინკინაშვილი, რომელიც აზრს ახატავს მხარს რუსეთში, უკრაინასა და ბელარუსში, აპარტაიდის სიმთხის შეტანა



ვენეტაონი თვალყურს ადევნებს რამდენიმე ტერორისტულ დაშინებას, რის შესახებაც ცნობილია სხვადასხვა ხარისხის რწმუნებებით, გამოარკვევს ყურნალისტებმა. არის ეჭვი, რომ ტერორისტები ბომბებით კბილის პასტის ტუბებში შეიჭრებიან ემუქრებოდნენ ზამთრის ოლიმპიადის სოჭში. მათი შეჩერება სურთ თვითმფრინავებში სითხის გადატანის აკრძალვით.

სომხეთისა და აზერბაიჯანის „ოლიმპიკური შირიგა“ მართლად დაგვირგაძის ბრძოლაში მხარეშია - სანაიპირმა სამხედრო მოქალაქე

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთმა და აზერბაიჯანმა ყური უღდეს რუსეთის მოწოდებას შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილეებისადმი სოჭში ზამთრის ოლიმპიური თამაშების წინ დადონ „ოლიმპიური შერიგება“ და მოილაპარაკონ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ვარაზაზის მიმართულად, ქვეყნებმა თავიანთი ვალდებულებების შესრულება ვერ შეძლეს. ერთ დღე-ღამეზე ნაკლები პერიოდის შემდეგ დაპირისპირება განახლდა.



გასვლია

საბარტოშვილს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი ტელეკომუნიკაციების რეგულაციის, „ნაციონალური მოძრაობის“ პრეზიდენტის ბრძოლის შესახებ

„მინდა, ერთი რამ ძალად კარგად განვიმარტოთ - მე არ ვაპირებ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოთქმულ კრიტიკას და აბსურდულ ბრალდებებს ვუპასუხო და მოვიწოდებ, ტელევიზიების და დასავლეთის მის მიერ წარმოებული პროპაგანდის ტირაჟირება. ეს, უწინარესად თქვენ დაგზავნიან, თქვენ უბრალოდ, დაკარგავთ მათ ყურადღებას. საზოგადოებას სჭირდება სიმართლე და, თუ მოწადინებული ხართ, რომ თქვით სიმართლე, მაშინ არ უნდა იმეორეთ 24 საათი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გამოთქმული კრიტიკა. ესაა ჩემი მეგობრული რჩევა“, - ამის შესახებ ირაკლი ლარიაშვილმა მიუხედავად უსაფრთხოების კონფერენციაზე მის გამოსვლასთან დაკავშირებით ოპონენტების უარყოფით შეფასებაზე დასმულ შეკითხვას უპასუხა და განმარტა, რომ მიუხედავად მისი გამოსვლა დაბალანსებული იყო.

დღევანდელ რეალობაში რამდენად შესაძლებელია პრემიერის პოზიციის გათვალისწინება და ნაციონალურების რიტორიკის უარყოფა? ეს მეტად რთული საკითხია. პრემიერის მსგავსად, საზოგადოების დიდი ნაწილიც თანხმდება, რომ მმართველობის ცხრანაწილიანი პერიოდისა და რუსეთთან კონფრონტაციაში ჩათრევის შემდეგ ნაციონალურ მორალური უფლება არააქვთ, სხვებს საბრძოლველად და ქვეყნისთვის სასარგებლო ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდონ. თუმცა, რეალობა ისიცაა, რომ მთავარი ოპოზიციური ძალად ქვეყანაში ჯერ კიდევ „ნაციონალური“ ითვლება და ისინი ოპოზიციის მანტიას სათავისოდ იყენებენ. არც პროკურატურაში არ დამდგარა ისეთი შედეგი, რომლითაც „ნაციონალური“ გაუფრთხილებოდა მოხერხებულად, რომ არაფერი ვთქვათ, ბოლოდროინდელ საპრეზიდენტო არჩევნებში მათ მიერ „დაკავებული“ მეორე ადგილზე.

რამდენად რთულია ყურნალისტებისთვის პრემიერის დავალების შესრულება და ამ ხნის მანძილზე რისი გაცემა შეეძლო ხელისუფლებაში მყოფ „ქართულ ოცნებას“, რათა ნაციონალურების პროპაგანდით საზოგადოება აღარ გაღიზიანებულიყო?! ამის შესახებ ექსპერტები გვესაუბრებიან.

„არჩევნებისა და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი კახა კახიშვილი For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ზუსტად „ქართული ოცნება“ და „ქართული ოცნების“ ლიდერები გვიმტკიცებდნენ, რომ „ნაციონალიზმი“ ერთადერთი ოპოზიციური ძალა იყო და ამიტომაც იძულებული იყვნენ, აეტანათ ისინი.

„არაერთხელ გვხვნიან, რომ „ნაციონალიზმი“ არის ძირითადი საპარლამენტო და არასაპარლამენტო მთავარი ოპოზიციის წევრები. ნაციონალიზმის განმავლობაში „ქართული ოცნება“ ორგანიზებული დანაშაულის ვერც ერთ ფაქტი ვერ გამოკვეთა და ხელი შეუწყო, რომ მთლიანად საპარლამენტო ტრიბუნა და მედიასივრცე ოკუპირებული ჰქონოდა ერთიან „ნაციონალურ მოძრაობას“. ამავედროულად, ყველა სხვა დანარჩენი ოპოზიციის წევრი ერთ პოლიტიკურ საკითხში ჩართული იყო და არ აპირებს, გაგზავნოს მთავრობის დელეგაცია სოჭის ოლიმპიადაზე, თუმცა, ქართველი სპორტსმენები შეჯიბრებებში მონაწილეობენ.

ციონალურ მოძრაობას“. ამავედროულად, ყველა სხვა დანარჩენი არასაპარლამენტო ოპოზიციის წევრი ერთ პოლიტიკურ საკითხში ჩართული იყო და არ აპირებს, გაგზავნოს მთავრობის დელეგაცია სოჭის ოლიმპიადაზე, თუმცა, ქართველი სპორტსმენები შეჯიბრებებში მონაწილეობენ.

ამასთან, ექსპერტი მიიჩნევს, რომ, რასაკვირველია, „ოცნებას“ სურს, „ნაციონალიზმი“ სახით ჰყავდეს მხოლოდ დისკრედიტირებულ ოპოზიციას, საბოლოოდ კი სურათი ასეთია, - ერთი მხრივ, გვეუბნებიან „ნაციონალიზმი“ არის ერთადერთი ოპოზიციური ძალა, მე-

ში ზოგიერთი მედიასაშუალება. თუმცა, ვერაფერი აუვლის გვერდს მნიშვნელოვანი პოლიტიკური პირების მესიჯებს“, - აცხადებს არჩილ გამზარდია For.ge-სთან საუბარში.

მისი თქმით, პროკურატურა თავის ადგილას რომ იდგეს, რომ არ უზრუნველყოს საშინელი ინფლაცია, მაშინ სხვა სურათი იქნებოდა. თუმცა, ერთი კია, კმაყოფილი საზოგადოება ბუნებრივად არ არსებობს და ოპოზიციის ყოველთვის უფრო მეტი სათქმელი აქვს, ვიდრე ხელისუფლებას. ამიტომ ახალმა ხელისუფლებამ უნდა შექმნას ის რეალობა, რაც მათ მოეწონებათ გააჩუქებინ. ამ დროს კი დღემდე არსებული გაუგებარია სამართალწარმოებით პროცესები, საზოგადოების ნაწილი კი ლამისაა, „ნაციონალიზმად“ სოლიდარულად გახდეს, რადგან მთელ რიგ საკითხებში გაურკვეველი ვითარებაა.

ამიტომ ექსპერტის აზრით, ყველაზე კარგია, როცა ხელისუფლება მედიას აძლევს რეალობას და არა იმას, რომ „დააკვლიანოს“, თუ რა უნდა ილაპარაკონ ყურნალისტებმა.

ექსპერტი ვაჟა ბერიძე მიიჩნევს, რომ ყურნალისტი არის მედიუმი და მან ის უნდა ასახოს, რაც ქვეყანაში ხდება. ამავედროულად, ირაკლი ლარიაშვილის პოზიციასაც აქვს საფუძველი, რადგან ზოგჯერ მედია მექანიკურად იმეორებს დაუდასტურებელ ფაქტებს. ამიტომ ბუნებრივია, პრემიერს, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის განვითარებაზე, ეკონომიკაზე, სურს, მედია უფრო პროფესიული იყოს. თუმცა, მარტივი ჭეშმარიტებაა, ქვეყანას ჰყავს ზუსტად ის ყურნალისტები, რა დონის პოლიტიკოსები, ბიზნესმენები თუ ექიმები.

„ქვეყანაში არ არის ფული. აქედან გამომდინარე, მედიასაშუალებები ეკონომიკურად ხელმოკლეები არიან და ძალიან უჭირთ კვალიფიციური კადრების შენარჩუნება. მედია არ უნდა იყოს შესატყაობელი ხელისუფლებასთან, როგორც ეს „ნაციონალიზმი“ დროს ხდებოდა, კარგად დაფინანსებული მედიასაშუალებების სახით. არიან ერთიანი ყურნალისტები, რომლებიც წლების განმავლობაში ამ საქმეს კეთილსინდისიერად ემსახურებიან, მაგრამ ბევრი ადამიანი ბოლო პერიოდის განმავლობაში გადავიდა სხვა სფეროში, სადაც ხელფასები მაღალია. მაგალითად, ყურნალისტები ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დიდი ხალხით გადადიან სახელმწიფო სტრუქტურებში, პრესსამსახურებში და სხვა, სადაც მაღალი და სტაბილური ხელფასებია. არა მგონია, გარკვეული ბრალი, „ქართული ოცნებას“ მიუძღოდეს იმაში, რომ ნაციონალიზმს ამდენის თქმის უფლება ჯერ კიდევ აქვთ. ესაა ცხოვრება, ეს პროცესია და ყველას აქვს თავისი პოზიცია“, - აცხადებს ვაჟა ბერიძე ჩვენთან საუბარში.

ამასთან, არ მაღავეს, რომ პირადად იგი ირაკლი ლარიაშვილის მრჩეველი რომ იყოს, მას არ ურჩევდა ასეთ პოლემიკაში შესვლას და ყურნალისტის ასე დატუქვას.

მანანა ნოზაძე

რატომ ისმის აბსურდული ბრალდებები? ანუ ოპოს უხალედი ყურნალისტებისთვის

ორე მხრივ, კი გვეუბნებიან, რომ დისკრედიტირებულთა არც ერთ კითხვას არ უნდა უპასუხო. შეიძლება, „ნაციონალიზმი“ აჭარბებს კიდევ, მაგრამ ყველა კარგად ვიცით, რომ ეს მათი სტილი იყო. ეს „ქართული ოცნება“ იცოდა. თუ დაამკვიდრეს თამაშის ეს წესები, კიდევ უნდა დავმორჩილონ“, - განმარტავს კახა კახიშვილი.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია მიიჩნევს, რომ ნებისმიერ პირს, თანამდებობის მიუხედავად, შეუძლია გამოთქვას სურვილები ყურნალისტების საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, შეუძლია შეაფასოს უფლება, გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს ეს მოწოდებები. ექსპერტის აზრით, თუკი მედია ამაში სჭარბობს „ნაციონალური მოძრაობის“ მესიჯები, ხელისუფლებამ ეს უნდა დააბალანსოს.

„მაშინ რატომ აქვს ხელისუფლებას საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები? შიდა მნიშვნელობის უკუფონი? რას აკეთებენ ეს ადამიანები? გააკეთონ განაცხადები, დაგვამონ საზოგადოებასთან თუ მედიასთან ურთიერთობის სტრატეგია, მოამარაგონ სხვადასხვა იდეებით, შექმნან რეალობა, რომელიც აჩვენებს მათი ოპონენტების მოსაზრებების სიცრუეს. ხელისუფლებას ნებისმიერ დროს შეუძლია, ნებისმიერი საინფორმაციო ნაკადი გაავრცელოს ყველა მედიაარხით. თუ ისინი ვერ იყენებენ ამ საშუალებებს, ამაში მედიას ნუ დასდებენ ბრალს. გასაგებია, რომ მედია რთული ორგანიზაციაა, საქართველოში მედია გლობალურად არის წარმოდგენილი, „ნაციონალიზმი“ საკუთარი მედიაარხები აქვს ან მათთან გარიგება-



შმალ ვერავინ გააცნობიერა, რა მოხდა.

სროლის ხმა არავის გაუგონია. რომ გადმოაბრუნეს, უკვე მკვდარი იყო, სისხლი მოჩქეფდა გახეთქილი თავის ქალიდან და გახვრეტილი წელიდან. სახეზე გაოცება შეჰყინვოდა.

ამ ამბის მხილველებმა მხოლოდ ორი სწრაფად გაუჩინარებული ახალგაზრდა შენიშნეს.

იქვე მაყუჩიანი პისტოლეტი ეგდო. სენსაციურმა ამბავმა უმალ შეძრა ავსტრიის დედაქალაქი. მოკლული იყო ავსტრიის სამშენებლო ფირმა „მარკო პოლოს“ აღმოსავლეთ ევროპაში არსებული სასტუმროების გენერალური დირექტორი, საქართველოს მოქალაქე დავით სანიკიძე.

პოლიციამ მაშინ არ იცოდა, რომ რესპექტაბელური ბიზნესმენის ნილაბი დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთ „ნათლიას“ ფარავდა...

როცა იაპვემ მოსეს სინას მთაზე ათი მცნება უკარნახა, ამით ღმერთთან დამოკიდებულების წესთან ერთად, ადამიანის ზნეობრივი ნორმებიც განაჩინა: არა კაც კლა, არ იმრუშო, არ იქურდო, არ იცრუო, არ ინდომო შენი თვისტომის სახლი, არც არაფერი მისი ქონებიდან...

ეს მორალური პრინციპები თითქმის ერთი და იგივეა ყველა რელიგიაში და ასახულია ყველა იურიდიულ კოდექსში. ღმერთი კარგად იცნობდა თავის ნახელავს. თინიდან გამოძერწვის უმალ შესცოდა ადამამ, მისმა შვილმა კი ძმის სისხლი დაღვარა...

არა კაც კლა, არ იმრუშო, არ იქურდო, არ იცრუო...

და მინც: კლავს, მრუშობს, ქურდობს, ცრუობს...

იურისტები განმარტავენ: დანაშაული ადამიანის ნებისყოფის აქტია, გარეგნულად გამოვლენილი მოქმედებით ან უმოქმედობით. დანაშაულის არსებითი ნიშანია მისი საზოგადოებრივი საშიშროება, რაც ისტორიულად ცვალებადი კატეგორიისაა. „არა მარტივი არს სენი იგი ცოდვითა, არამედ მრავალ სახე და მრავალგვარი და მრავალნი რტონი ვნებისანი აღმოცენდებიან მისგან“ — ჯერ კიდევ როდის წერდა ექვთიმე ათონელი. ჩვენი განათლებული, ცივილიზებული, ტექნიკისა და მეცნიერების სასწაულენი საუკუნე სისასტიკის, ბოროტმოქმედების, მაფიისა და განგსტერიზმის აღზევების საუკუნეც არის.

დამნაშავეობის სამყაროს დღეს არნახული მასშტაბი და მზარდი საერთაშორისო კავშირები აქვს. ყველა ფურის — ძველი, ტრადიციული თუ ახალი მაფიები მსოფლიო მასშტაბით ქმნიან განგსტურ ქსელს, რომელიც მთელს პლანეტას მოიცავს. დაუცდელად მოქმედებს კაპიტალის გლობალური ბაზარი და ფინანსურ სპეკულაციებს ვერაფერი აკავებს. დამნაშავეთა სამყაროს კაპიტალი ფანტასტიკური მოცულობისაა.

ორგანიზებული დამნაშავეობა კაცობრიობის სასიკვდილო სენად იქცა. შესაძლოა, ექსპერტები და პოლიტიკოსები რამდენადმე აზვიადებენ საფრთხეს, მაგრამ საერთო აზრით, სიტუაციამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია, რადგან საერთაშორისო მაფია სრული განადგურებით ემუქრება მსოფლიო თანამეგობრობის ისედაც სუსტ სამართლებრივ ბარიკადებს.

საქართველო, როგორც სუვერენული ქვეყანა, რაღაც ორი ათეული წლის წინათ შეუერთდა მსოფლიო თანამეგობრობას. დამოუკიდებლობას, ყველა სიკეთესთან ერთად, ბევრი მანამდე უცნობი, უჩვეულოც მოჰყვა. კერძოდ, ორგანიზებული დამნაშავეობის გაფურჩქვნა, რასაც განსაკუთრებით შეუწყო ხელი ჩვენში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, განუკითხაობის ატმოსფერომ. შავმა სამყარომ „მხედრონი“ — მამულელთა კორპუსის სახით, ხელისუფლების სტრუქტურაშიც კი შეაღწია. დამნაშავეთა მძლავრი ორგანიზაცია შეიქმნა უშიშროების სამსახურში, კორუფციის ბუდედ იქცა მინისტრთა კაბინეტი. ხაზინა გაიძარცვა. გავლენის სფეროების განაწილებისათვის ბრძოლაში ზღვა სისხლი დაიღვარა. დაიწყო მზადება სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ქვეყანას ტერორისტულ



# „მხედრონი“ — ბოროტების მხედრობა

ლი თავდასხმების სერიამ გადაუარა. მაგრამ ახალგაზრდა სახელმწიფომ შეძლო სასიკვდილო საფრთხის არიდება. რაც მთავარია, აილაგმა „მხედრონი“. გაიხსნა 1992-1995 წლებში ჩადენილი ასობით უმძიმესი დანაშაული, მათ შორის: ტერორისტული აქტები, პოლიტიკურ, მმართველობით და ეკონომიკურ სტრუქტურებში გავლენის სფეროების დაუფლების, კრიმინალური სამყაროსათვის არასასურველ პირთა თავიდან მოცილების მიზნით ჩადენილი მკვლევობები, ყაჩაღობები, ადამიანის გატაცების ფაქტები.

გაიხსნა თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში კრიმინალურ დაჯგუფებებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების დროს ჩადენილი ხოცვა-ჟლეტის სერიები, დააპატიმრეს მრავალი ლიდერი, მათ შორის ტერორისტულ აქტებსა და ძარცვა-ყაჩაღობაში განსაკუთრებით განაფული კრიმინალური დაჯგუფება „მხედრონის“ შემქმნელი და ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანი, „მხედრონის“ — მამულელთა კორპუსის თავმჯდომარე გიგა გელაშვილი, უშიშროების სამსახურის უფროსის ყოფილი მოადგილე თემურ ხაჩიშვილი.

ასე თანდათან იკლო განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთა რაოდენობამ. შეიარაღებული ფორმირებების, „საძმოებისა“ და ბანდების თარეში შესულთა, თუმცა, მონაცემთა ანალიზი ნათლად მეტყველებდა, რომ დამნაშავეთა სამყაროს ძირითადმა ნაწილმა იატაკქვეშეთში გადაინაცვლა. აღწუსული იყო მათ მიერ ლეგალურ ბიზნესში თანხები დაბანდების ტენდენცია როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ეკონომიკაში.

ბოროტმოქმედთა ნაწილმა, მათ შორის „მხედრონის“ ყოფილმა წევრებმა, ტერორისტული აქტებისა და სხვა უმძიმეს დანაშაულობათა ზოგიერთმა ორგანიზატორმა და შემსრულებელმა დატოვა ქვეყნის ფარგლები და ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ევროპის ქვეყნების ტერიტორიებზე მიიმაღა. სათარეშო ასპარეზად გაიხადეს პოლონეთი, რუმინეთი, გერმანია, რუსეთი, ავსტრია. ხელობად გაიხადეს რეკეტი, ხალხისა და ავტომანქანების გატაცება, თაღლითობა, ნარკოტიკებით ვაჭრობა და კონტრაბანდა... ისინი იქიდან აკონტროლებდნენ მაფიური კლანების საქმიანობას.

უცხოეთში ქართველი კრიმინალების გადაბარგებამ თავისებური შედეგი გამოიღო. გამძაფრდა დაპირისპირება და ანგარიშსწორება სხვა ქვეყნებს შეფარებულ დაჯგუფებებს შორის, ამის მაგალითი გახლდათ რუსეთის ფედერაციაში, კერძოდ — მოსკოვში ჩადენილი მკვლევობები. როგორც წესი, სისხლიანი ანგარიშსწორება ხდებოდა ფინანსური შეუთანხმებლობის გამო, ხშირად

კი „მონმის“ ჩამოშორების მიზნით, რათა დაეფარათ სხვადასხვა მძიმე დანაშაული თავიანთი მონაწილეობის კვალი. საზღვარგარეთ მოკლეს შავი სამყაროს ათობით ქართველი ავტორიტეტი. მათ შორის იყო დავით სანიკიძე.

ავსტრიაში მომხდარი ეს მკვლელობა ევროპული პრესისთვის სენსაციად იქცა. ბუდაპეშტში დააკავეს ორი ქართველი ეჭვმიტანილი. ავსტრიული გაზეთი „კურირი“ იუნყებოდა: „დ. სანიკიძის მკვლელობაში აშკარად გამოკვეთილი პოლიტიკური მიზეზებია“.

მართლა ასე იყავი? და საერთოდ ვინ იყო დავით სანიკიძე?

დაიბადა 1946 წელს ბათუმში. ავსტრიული სამშენებლო ფირმა „მარკო პოლოს“ აღმოსავლეთ ევროპაში არსებული სასტუმროების გენერალური დირექტორი, გარეგნულად რესპექტაბელური კომერსანტი, სინამდვილეში შავი სამყაროს „ნათლია“, აქტიურად მონაწილეობდა დანაშაულებრივ ბიზნესსა და სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციაში, „მხედრონის“ მიერ უკანონო გზით მოპოვებული ფულადი სახსრებისა და მითვისებული სახელმწიფო ქონების ლეგალიზაციაში. მჭიდროდ გახლდათ დაკავშირებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და ევროპის ქვეყნების მაფიოზურ კლანებსა და დამნაშავეთა სამყაროს ლიდერებთან. ჩაბმული იყო ნარკობიზნესში.

1980 წლიდან დავით სანიკიძე საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა, სადაც ფართოდ გაშალა ფრთები ვიაჩესლავ ივანკოვთან — „იაპონიკის“ მეტსახელი ცნობილ საერთაშორისო მასშტაბის განგსტერთან ერთად, რომელსაც მსჯავრი დასდო აშშ-ის მართლმსაჯულებამ, ორგანიზაციას უკეთებდა რუსეთის ტერიტორიაზე, მეტწილად — მოსკოვში, გამოძალკავა და რეკეტს.

„იაპონიკი“... ამ კაცზე ლეგენდებს ჰყვებიან. იგი რუსეთის ალ კაპონეა, პოსტსაბჭოური სივრცის ლაკი ლუჩანოვა: „იაპონიკი“, უხილავი და მძლავრი იმპერიის ერთ-ერთი ბოსი, მორჭმით განაგებდა თავის „საუფლისწულო მამულს“. მისი ბრძანება უსიტყვოდ და უყოყმანოდ სრულდებოდა, მისი განაჩენი გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. სასტიკი და ეჭვიანი კაცი ტყვიასავით გაურბოდა ახალ ნაცნობობას. მხოლოდ რამდენიმე მეგობარი ჰყავდა. ერთ-ერთი დავით სანიკიძე იყო. უყვარდა, პატივს სცემდა. ხასიათის, სულიერი სამყაროს მსგავსება აახლოებდა მასთან.

ვიაჩესლავ ივანკოვის მეგობარი და ნდობით აღჭურვილი დავით სანიკიძე რუსეთისა და დსთ სხვა ქვეყნების შავი სამყაროს ლიდერების „შეკრებებზე“

აქტიურ როლს ასრულებდა გავლენის სფეროების დანაწილებაში, საკუთარი შეხედულებისამებრ წარმართავდა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხების დაბანდებას ევროპის ბანკებსა თუ ფირმებში.

სწორედ დამნაშავეთა სამყაროს ლიდერთა ხელდასხმით გახდა იგი ავსტრიული სამშენებლო ფირმა „მარკო პოლოს“ დირექტორთა საბჭოს წევრი, მოგვიანებით კი — ამ ფირმის აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში არსებული სასტუმროების გენერალური დირექტორი. სხვათა შორის, როცა ამ ფირმის პრეზიდენტი ავსტრიელი ბიზნესმენი ლეოპოლდ ბაუსბეკი თბილისს პირველად ეწვია, მას ჩიჩერონედ დავით სანიკიძე ახლდა.

დავით სანიკიძე „მხედრონის“ აღზევების შემდეგ აქტიურად დაუკავშირდა თავის ძველ მეგობარს, „მხედრონის“ ლიდერს ჯაბა იოსელიანს და სხვებს. ამ დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად, ყოველი ძალით (ვდილობდა დაპატრონობდა სასტუმრო „გუდაურის“ კომპლექსს, მაგრამ ედუარდ შევარდნაძის ფონდის „ალორძინება და დემოკრატის“ პრეზიდენტის სოლოკო ხაბეიშვილის შეუვალ წინააღმდეგობას ნააწყდა. საფიქრებელია, რომ სწორედ ეს გახდა 1995 წლის 20 ივლისს სოლოკო ხაბეიშვილის და მისი მძლოლის მკვლელობის ერთ-ერთი მოტივი.

ჯაბა იოსელიანსა და გიგა გელაშვილთან ერთად, დავით სანიკიძემ იარაღის მუქართა და შანტაჟის გზით მოახერხა საქართველოს სახელმწიფო დაწესებულებებში, ბანკებსა და ფირმებში მხედრონელების „წილში ჩასმა“.

შავი ბიზნესმენი საქართველოს ავიაკომპანია „ორბის“ პრეზიდენტი გახდა, თუმცა, სინამდვილეში მის მმართველობაში საერთოდ არ მონაწილეობდა.

მისი და ჯაბა იოსელიანის დახმარებით, 1992 წელს თბილისის სასტუმრო „მეტეხში“ გენერალურ მენეჯერად დაინიშნა მათი მეგობარი, „მხედრონის“ აქტიური წევრი რიჩარდ ჯავახაძე, რომელმაც, თავის მხრივ, ვითომდა დაცვის საბაბით, სასტუმროში შეიყვანა მხედრონელთა შეიარაღებული ჯგუფი.

ამ ჯგუფის წევრებმა 1992-1995 წლებში საქართველოსა და დსთ სხვა ქვეყნებში მრავალი ისეთი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს, როგორც არის შეკვეთილი მკვლელობა, ადამიანის გატაცების გზით ფულის გამოძალკვა და ა. შ.

### „...მეტიხი პალასი“

წკრილებს ბროლი. ალმასივით სხივის ჭალები. იღვრება ბლუზი და განყოფილ მაგიდებს შორის ნელად რონინებენ წყვილები...

კონფერენცდარბაზში კი მორიგი საერთაშორისო სიმპოზიუმი მიმდინარეობს. ტელეკომუნიკაციები ფირზე დაწვრილებით აღბეჭდავენ გამოსვლებს, უფურცლისტები გაფაციცებით აწრიონებენ კალმებს...

და არავის წარმოდგენაც არა აქვს, რომ იქვე, სულ ახლოს მყდრო კაბინეტში, სადაც ვერ აღწევს მუსიკის ხმა და ცნობისმოყვარე თვალს, სხვა სამყაროა.

იქ ბრგე, გაყინულსახიანი ყორჩები უცხოს არვის აჭაჭანებენ.

იქ მხოლოდ ფულის თვლის შრიალი ისმის.

იქ მხოლოდ „საქმის გასარჩევი“ შეკრებებია.

იქ ფრანგული სუნამოს სუნი არ შეიგრძნობა, სამაგიეროდ, ხანდახან სისხლის სუნი იფიქნება ისედაც შეგუბებული ჰაერი და სიმღერის ნაცვლად მომაკვდავის ხრიალი ისმის, მერე უკვე გვამად ქცეული ღამის სიბნელეში უჩინრად რომ გააქვთ მოფარებული გასასვლელიდან.

ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ფეშენებელური სასტუმრო მაფიის ბუდედ იყო ქცეული. ამის თაობაზე მხოლოდ ჩურჩულით თუ იტყოდნენ, თორემ ხალხი „მეტეხი პალასს“ თანამედროვე ბიზნესის, საერთაშორისო ბიზნესკავშირების, მომავლის სიმბოლოდ აღიქვამდა.

ალექს ასლანიშვილი.  
(გაზრდილობა იმდობა)

ოლიმპიადა

აშშ-ის ელჩი რუსეთში: კარგია, რომ სოჭში ქართველი სპორტსმენები ჩამოვიდნენ



არბერტის მღვდელმა, რომელსაც აშშ-ის ელჩი რუსეთში მაიკლ მაკფოლი განთქმულია ჩემს კოლეგებში, როგორც კომუნიკაბელური და ყურადღებიანი ადამიანი. ამის დასტური გახდა ემიზონი, რომელიც ოლიმპიურ სოფელში, საქართველოს სახელმწიფო დროშის აღმართვის ცერემონიალის წინ მოხდა.

ტერიტორიაზე შემსვლელთა საკონტროლო დარბაზში ვოლონტიორი გოგონების გარემოცვაში იმყოფებოდა ქართველი ჟურნალისტი თენგიზ პაჭკორია და მასთან ერთად სურათებს იღებდნენ - ისინი, ალბათ, არა მისმა გარეგნობამ და აღნაგობამ მოხიბლა, არამედ საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ლამაზმა ფორმამ და ჩვენი თანამემამულის ოლიმპიურმა ქუდმა წარწერით „Georgia“, რომელზეც მან საქართველოს დროშის სიმბოლიკით მორთული ნაძვის ხის სათამაშოები მიამაგრა. ამ დროს მიუახლოვდა წარმოსადეგი მამაკაცი და გა-

ეცნო: „ბოდიში, მე აშშ-ს ელჩი ვარ რუსეთში“.

მის კისერზე დაკიდებულ სააკრედიტაციო ბარათს ყურადღებით დახედა და, მართლაც, ეს მაიკლ მაკფოლი - ამერიკის ელჩი აღმოჩნდა. მის გვერდით მყოფმა ვოლონტიორმა გოგონებმაც თავის დაკვრით დაადასტურეს ეს.

ელჩმა პაუზა გააკეთა და რუსულად ბრძანა: „მიხარია თქვენთან, კარგია, რომ სპორტსმენები საქართველოდან ჩამოვიდნენ ოლიმპიურ თამაშებზე სოჭში“. მან ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა და ისევე ჩქარა წავიდა, როგორც მის წინაშე გამოჩნდა. თენგიზს გული დაწყდა, რადგან უნდოდა მისთვის რამდენიმე შეკითხვა დაესვა და სურათები გადაეღო საშინაო ვერსიით.

იგი მიხვდა, რომ გამოკიდებას ამ სიტუაციაში აზრი არ ჰქონდა და ეს სწორი არც იქნებოდა - ელჩმა თავისი აზრი უთხრა და, ეტყობა, მეტს აღარაფერს იტყოდა.

მანუჩარ ბიორგაძე

ჩოგბურთი

ნა ლის მორიბი რეკორდი

ბასული წლის მიწურულს ჩინელი ნა ლი პირველი აზიელი გახდა, რომელიც ქალთა საჩოგბურთო რეიტინგში მესამე საფეხურამდე აღზევდა, მალე კი ავსტრალიის ლია პირველობის მოქმედ ჩემპიონს მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ადგილზე მყოფს ვისილავეთ.



ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ყატარის დედაქალაქ დოჰის ტურნირის შემდეგ სარეიტინგო ქულებს დაითვლიან. მოგესხებათ, ამ შეჯიბრების შარშანდელი გამარჯვებული სადღესოდ კლასიფიკაციაში მეორე პოზიციაზე მყოფი ბელარუსი ვიქტორია აზარენკა, მაგრამ სლავი წლეულს ფეხის ტრავმის გამო აზიაში ვერ

ითამაშებს. ამის გამო აზარენკას 900 სარეიტინგო ქულა დააკლდება და მას ნა ლი გადაასწრებს.

კობა კოვახიძე

ფეხბურთი

ტორესმა პარჯიში ბანაახლა

ლონდონის „ჩელსის“ თავდამსხმელმა ფერნანდო ტორესმა ტრავმა მიიწურა და გუნდთან ერთად ვარჯიში დაიწყო. ბრიტანული მედიის ცნობით, ესპანელი სრული დატვირთვით ვარჯიშობს და „ნიუკასლთან“ ინგლისის პრემიერლიგის უახლოესი ტურის მატჩისთვის ემზადება.

ესპანელმა ფორვარდმა უკანასკნელად 19 იანვარს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩში (1:3) ითამაშა და მუხლის ტრავმა მიიღო. მას შემდეგ ტორესი მოედანზე აღარ გასულა. ცნობისათვის, მიმდინარე სეზონში 29 წლის ტორესის ანგარიშზე 8 გოლია.



გიორგი შოთაძე

ჭილაობა

პერსულ-ბრინჯაოს დღე

საძარტმელოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა თეირანში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის - „ტახტის თასის“ პირველ დღეს 2 მედალი მოიპოვა: 6 წელიწადი წინთი კატეგორიაში კონსტანტინე საბალაშვილი ვერცხლს დაეფუტა, სოლო 97 კილოგრამში დათო ქერაშვილი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

სასტარტო დღის მთავარი ინტრიგა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის, ევროპის 5-გზის და მსოფლიოს 2-გზის ჩემპიონ ლუკა კურტანიძის სატურნირო ასპარეზზე დაბრუნება იყო. 41 წლის თავისუფალი სტილით მოჭიდავემ თავისი გადამწყვეტილებით და უშუალოდ ჭიდაობისას ნაჩვენები ახალგაზრდული შემართებით თეირანის დარბაზის ტრიბუნებზე მსხდომი მაყურებლები აღაფრთოვანა. ირანული სააგენტოების ცნობით, კურტანიძემ ახალგაზრდებს შორის ევროპის მოქმედ ჩემპიონთან, თურქ ალი ბონ-




Photo: Abolfazl Salmanzadeh

MEHR NEWS AGENCY

ჩიოლლუსთან ლამაზად იჭიდავა და რამდენიმე ეფექტური ილეთიც შეასრულა, მაგრამ ქულებიც ბლომად დაკარგა და საბოლოოდ 10:12 დამარცხდა, მოგვიანებით კი ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსიც დაკარგა, რადგან ბონჩიოლლუმ ფინალში ვერ გააღწია.

ლუკა კურტანიძეს ხალიჩაზე დაბრუნება პირველმა მიულოცა ყოფილმა მეტოქემ, ირანის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რასულ აგადი შადემმა.

დავძენთ, რომ საქართველოს ნაკრების წევრთაგან ქერაშვილის, საბალაშვილისა და კურტანიძის გარდა, საქმეში ბექა ბუჯინაშვილი, ოთარ გოგავა, ლაშა ტალახაძე (ოთხივე 57 კგ) და იაკობ მაქარაშვილიც (74 კგ) ჩაერთნენ, მაგრამ სამეულს მიღმა დარჩნენ.

გიორგი ბიორგაძე

კალათბურთი

უმრავლესმა და სანიკიძემ „სარაგოსა“ ესპანეთის თასის ნახევარფინალში გაიყვანეს



გიორგი შარვაშიძის და ვიქტორ სანიკიძის „სარაგოსა“ ესპანეთის თასის მეოთხედფინალში სენსაცია მოახდინა და მინი-ტურნირის მასპინძელ „უნიკასას“ მალაგაში 79:74 სძლია, ქართველი კალათბურთელები კი სტუმართა რიგებში საუკეთესონი იყვნენ. შერმადინიცი და სანიკიძეც არაგონელთა სასტარტო ხუთეულში

გამოჩნდნენ. გიორგიმ მოედანზე 24 წუთი გაატარა და 15 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიიტვალა. ქართველმა ცენტრმა 8-დან 7 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი ერთხელ დაკარგა, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 2-ჯერ დაჯარიმდნენ. 25 წუთს ითამაშა სანიკიძემ, ვისი

მონაგარიც 12 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი და 2 დაფარება გახლდათ. ქართველმა ფორვარდმა 5-დან 3 ორქულიანი და 3-დან 2 სამქულიანი გამოიყენა, ერთხელ შეცდა, 3-ჯერ დაჯარიმდა, მის წინააღმდეგ კი თამაშის წესები ერთხელ დაირღვა. აღსანიშნავია, რომ სარაგოსელებმა მატჩის პირველი ტიმი 7 ქულის სხვაობით დათმეს, შემდეგ კი ჩამორჩნენ ათ ქულამდეც ავიდა, თუმცა, შემდეგ სტუმრებმა პერიმეტრიდან ზუსტ სროლებს უხშირეს და საბოლოოდ სასახელო გამარჯვება იხვიეს. ამ წარმატებით ქართველთა კლუბმა ესპანეთის თასის ნახევარფინალში გააღწია და დღეს ძალეებს „რეალის“ წინააღმდეგ მოსინჯავს. მადრიდელებმა მეოთხედფინალში „გრან კანარიას“ იოლად - 83:60 სძლიეს.

„უნიკასასთან“ მატჩის ერთ-ერთმა გმირმა ვიქტორ სანიკიძემ თამაშის შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა: „დიდებული გრძობაა. ტურნირში, რომელშიც ესპანეთის 8 გამორჩეული გუნდი ასპარეზობს, ნახევარფინალში გავედით, თანაც მალაგაში მასპინძელ გუნდს ვაჯობებთ. ასლამ მეტს ვერაფერს ვიტყვი. ის, რაც ამ მატჩში მოხდა, წყნარად უნდა გავიაზროთ“.

ვიტალი ჯაფარიძე

ინტერნეტიდან

პელებმ მექალთანეობა უარყო

მშველასათვის კარგადაა ცნობილი „ფეხბურთის მეფედ“ სახელდებული ბრაზილიელი პელებს უცნაური ხანაიათი. ჯერ მსოფლიო მისი ახირებული საფეხბურთო პროგნოზები რად ღირს. თუმცა, პელებს ეს არ ანაღვლებს და სასწაულს სასწაულზე ამბობს.

ამას წინათ პელებმ თანამემამულე ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ მთელი ცხოვრება ცოლის ან მეგობარი ქალის ერთგული იყო და მისი იმიჯი, რომ თითქოს გამუდმებით ქალების მდევნელი კაცი იყო, ჟურნალისტების მონაშახია.

წლებს თავისი მიაქვს და, ალბათ, პელებს აღარ ახსოვს, რომ მისი ყოველი ქალი (როგორც ჟურნალისტები იუწყებიან, დაახლოებით 30-მდე) ქალთან პელებს რომანი უკვე დადასტურებული ამბავია) ფოტოზე და ვიდეოზე ალბეჭდილი. ამას თან პელებს აღიარებითი ინტერვიუებიც ახლავს და, როგორც იტყვიან, სიმართლეს ვერავინ დავემალებით...

როსტომ რაჭველიშვილი




თითქმის ნატურიდან

ინფლაცია

მართალია, გაზრდილი „ექსპორტი-იმპორტი“, სადაც ბენიკო საზღვარგარეთის ქვეყნებთან ინტეგრირების რედაქციას უძღვევდა, უსახსრობის გამო ვარგა ხანია მცირე საპრონორარო ანაზღაურებაზე გადავიდა, მაგრამ თავად ბენიკომ ქაბა-ყლაპვისა და ღვინო-არვის ყლურწვის რიტმს ვერა და ვერ უღალატა. იმ დღესაც, როცა ამ აზბაგს შევესწარი, ბენიკო რაღაც საგაზო მასალას ჩაკირკიტებდა და ოთახში საქმიანი კაცის იერით წინ და უკან მორბენალ ვალერას დილის დავალებას აძლევდა:

– ის მოხდა, რომ ლარის კურსი დავარდა და ყველაფერი ინფლაციამ შეჭამა. ერთი თვის წინათ მორთმეულისას, ჩემო კარგო, დღეს რომ გადაიხდი, იცი ზარალი სად ურტყამს?  
– გადახდით დღესაც ვერ გადავიხდი, მაგრამ...  
– ჰოდა, დავრჩებით მშვიდრ-მწყურვალნი.  
– კარგი, ცარიელა არაყი მაინც გამოართვი, – დაიხია ბენიკომ.  
– მარტო არაყს არ იძლევიან.  
– რატომ, ეგეც გაინფლაციურდა?

შენი გაცნობა უნდა-მეთქი, მაგრამ უარზე იდგა. რა აკიდებდა უნდა, შეხვალ თუ არა მალაზიებში, კაფე-რესტორნებსა თუ ბაზრებში, უმაღლესად აგედევნება და მანამდე არ მოგცილდება, ვიდრე უკანასკნელ გროშს არ გამოგიხრავს.  
– მაგას მე ვუტირებ ყოფას, – დაიქადა ბენიკომ, – თუ აქ მასეთი ფასი აქვს, სულაც ერთიანად მოვხვეტავ და საზღვარგარეთ გავიტან საექსპორტოდ. ესა თქვა და მერე დღეს, ინათა თუ



– ბენიკო-ჯან, ისაო, ესაო, თქვენი დიდი, ხათრი მაქვს, მაგრამ... არაო!  
– არა, მაგრამ უბრალოდ კლიენტთა მადის გასაძლიერებლად ვიყენებთო, ამბობენ, ეგ რომ არ იყოს, კერძების ნახევარიც არ გაგვეყიდებო.  
– ვალერა, ერთი ეგ მითხარი, ეს ინფლაციაა თუ რაღაც ჩემი ვეხები, საიდან აიკიდე!  
– ავიკიდე კი არა, სულ ვეხვე-ნებოდი, ბენიკოსთან გამომყევი,

არა, დეზერტირების მოფურტუნულ ბაზარს მიადგა.  
– მობრძანდით, ბატონო, რას ინებებთ, – შეიპატიჟეს აქეთიქიდან მოვაჭრებმა.  
– ინფლაციას დავეძებ, ხო არ გექნებათ?  
– მაგის მეტი რა გვაქვს, შე კაცო, – გაამხნევა მუშტარი უღვაშა გამყიდველმა, – ბაზარი ყელამ-

დე საესეა ინფლაციით, ივაჭრე რამდენიც გაგიხარდება.  
– აგაშენა ღმერთმა, – მოილხინა ბენიკომ, – მოიტა, რაცა გაქვს, სულ ერთიანად ავიღებ.  
– ვერ მოგყვით, – იუარა ულვაშამ.  
– რატო, კაცო აკი ბევრიო?  
– არა, მაგრამ ცალკე ინფლაცია არ იყიდება.  
– აბა როგორ ვიყიდო?  
– მხოლოდ პროდუქტებთან ერთად, რასაც ხელს დაადებ, ყველას თავის წილი ინფლაცია მოჰყვება.  
– არა, მე წილი კი არა, საკუთრივ ინფლაცია მინდა.  
– ვა, ეს ვინა ყოფილა, – განერვიულდა უღვაშა, – ხო გითხარი, ცალკე ინფლაცია არ იყიდება-მეთქი.  
– რატომ არა, ვინ ავიკრძალათ?  
– ვინა და მთავრობამ, თუ ვინ-მე პროდუქტი უინფლაციოდ გაყიდა, დიდ ჯარიმას ავკიდებთო.  
– რისთვისო, არ უთქვამთ?  
– აბა რა ვიცი, ამ მთავრობისას რას გაიგებ, – არც ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში, თვით ამერიკაშიც კი, ინფლაცია ცალკე არ იყიდება და ჩვენ რა გამოიხრავს ვართო.  
– ვითომ ცალკე რომ გაყიდონ, სახელმწიფო დაზარალდება?  
– პირიქით, ამით სახელმწიფო ბიუჯეტი მოიგებს კიდევ, მაგრამ ჩვენ თვითონ დავზარალდებით.  
– თქვენი რატომ?  
– ახლა პროდუქტების და ინფლაციის გადასახადს ერთად ვიხდით, მაშინ კი, ცალკე ვიანგარიშებენ.  
– გასაგებია, – თქვა ბენიკომ, – მოვაჭრეებს ამით გაბამენ, რომ მთავრობის საწინააღმდეგო აქციები არ მოაწყობენ, არა?  
– არ ვიცი, ძმაო, პოლიტიკაში ვერ ვერკვევი, – მოიბოდიშა უღვაშამ, – მაგრამ ამდენი ლაპარაკის შემდეგ, ნუთუ ბოლოც მაინც არ იყიდის?  
ბენიკო ამ კითხვამ ინფლაცი-აზე მეტად დააბნია, ის უხერხულად შეიშუშნა, უნდა და ეთქვა, საყიდლებზე ხვალ ვალერას გამოვგზავნიო, მაგრამ გაახსენდა, რომ ვალერას მასავით რეიტინგი დაკარგული ჰქონდა და ბაზრიდან სასწრაფოდ გაიძურნა.

გზაყინს საპრობულო ჯიპჯიპობით სიტყვას არ ტყვას!

როსა თბილისელს საგადასახადად ამით სამე

მრამბლი წლის განმავლობაში მივმართავდი შესაბამის ორგანოებს ჩვენი საცხოვრებელი კორპუსის მძიმე ავარიული მდგომარეობის შესახებ. ვითხოვდი შევლას, მაგრამ ამაოდ ჩვენს წერილებზე არ გვიპასუხებდნენ, ან ჯობდა, ისევ არ ეპასუხათ. შარშან, უკვე ინერციით, მივმართე განახლებულ ქალაქის საკრებულოს. მოულოდნელად, დეკემბრის დასაწყისში, გვირეკავენ და გვთხოვენ, დავედოთ ადგილზე, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე ბატონი ირაკლი შინიაშვილი მოდის თქვენთან, რომ გაეცნოს თქვენ წერილში აღწერილ პრობლემებს!  
მართლაც, მალე ჩვენ მისამართზე მოვიდნენ საკრებულოს, ალბათ, მთელი შემადგენლობა, თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. დათვალისწინების შემდეგ, ჩვენი თანდასწრებით ჩაატარეს, ფაქტობრივად, სამუშაო თათბირი და განიხილეს მოქმედების გეგმა ბატონმა ირაკლიმ მოგვცა პირობა, რომ აუცილებლად დაგვეხმარებოდა, მართალია გითხრათ, წლების განმავლობაში ჩვენი გასაჭირის მიმართ იმდენი გულგრილობა ვიგეგმე, რომ საკრებულოს ასეთი გამორჩენილი ყურადღება, ცოტა არ იყოს, ირონიით მივიღეთ!

მაგრამ, 25 იანვარს გვეხლა საკრებულოს პასუხისმგებელი მუშაკი და ჩაგვაბარა წერილობითი, ნანატრი, სასიხარულო გადაწყვეტილება, რომ ჩვენი საცხოვრებელი ჩასმულია „მძიმე ავარიული კორპუსების კაპიტალური გამაგრების პროგრამაში“. როგორც გავიგეთ, უკვე შესრულებულია საპროექტო სამუშაოები და ექსპერტიზის შემდეგ დაინიშნა სამშენებლო სამუშაოებიც!  
ჩვენი სიხარული გვირგვინა გავუზიაროთ მსგავს მდგომარეობაში მყოფ ქალაქის მოსახლეობას – გჯეროდეთ, ამ ხალხთან, როგორც ჩვენ, თქვენც აგისრულდებათ მსგავსი ოცნება! ამის თქმის უფლებას გვაძლევს, შესვედრის დროს გამოჩინილი ჩვენდამი (ხალხისადმი) გულიანი დამოკიდებულება, გაჭირვების გაზიარება, მუშაობის სტილი, კონკურენტული შედეგი განსაკუთრებით დიდი მადლობა ნამდვილად თბილისის ბატონოს, ქალაქელ კაცს – საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ირაკლი შინიაშვილს!

გომთას № 18 კორპუსის 27 ოჯახის მცხოვრებლები. 7.11. 2014 წ.

ინტერპრესი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა  
ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №2ა, მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოების წარმოება, ორიენტირებულია ცამეტი წლის ოცდაერთ მარტს გარდაცვლილი ბატონი სტანისლავ მოსიენკოვის (პ/№61002000394) მიმართ, გთხოვთ დაინტერესებულ პირებს, მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე, ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, ნოტარიუსის ვალიდა ნინიძე.  
ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე

„არქიმედე“ კორპორაცია, მაგრამ სახელმწიფო არ შეიწყობის  
„არქიმედე“ კლინიკებთან დაკავშირებით გაკოტრების შესახებ კანონი მოქმედებს და ყველაფერი კანონის შესაბამისად მოხდება, – მთავრობის სხდომის დაწყებამდე განაცხადა ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგენჯიანმა.  
– შესაძლოა თუ არა „არქიმედე“ კლინიკები სახელმწიფო შეისყიდოს?  
– სახელმწიფოს არ აქვს გამოკვეთილი სტრატეგია, რომ აუცილებლად უნდა შეიძინოს სამედიცინო დაწესებულებები. ჩვენთვის მნიშვნელოვანია არ აქვს, კლინიკები კერძო იქნება, თუ სახელმწიფო. მთავარია, ისინი ხარისხიანად მოემსახურონ პაციენტებს. „არქიმედე“ კლინიკებთან მიმართებაში მოქმედებს გაკოტრების შესახებ კანონი და ყველაფერი კანონის შესაბამისად მოხდება, – განაცხადა სერგენჯიანმა.

ინტერპრესი

თბილისში 600 ათასი ალაპიანის მგზავრობის საფასური სხვა პროექტების ხარჯზე დაიფარება  
თბილისის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, თებერვლის ბოლოდან 600 ათასი პირის მგზავრობის ხარჯი სხვა პროექტების ხარჯზე დაიფარება, – განუცხადა ჟურნალისტებს თბილისის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა აკაკი ჯოსაძემ.  
მან აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დაუმტკიცებლობამ საქალაქო სამსახურს რამდენიმე პრობლემა შეუქმნა, კერძოდ, დედაქალაქში შეწყდა ავტობუსების შექმნის მიზნით გამოცხადებული ტენდერი.  
ჯოსაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ, ავტობუსების შესაძენად ტენდერი თავიდან გამოცხადდება.  
– მე არ ვამბობ, რომ უკვე შეწყვეტილია რაიმე სახის მგზავრობის შეღავათი, მაგრამ სერიოზული პრობლემა 600 ათასი მგზავრის შეღავათის საკომპენსაციო თანხის გადახდა, თებერვლის ბოლოდან ერთი მეთორმეტედიტით ამ მუხლის დაფინანსება უკვე ამონ ურული იქნება და იძულებული ვიქნებით, გავაჩეროთ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომელიც გათვალისწინებული გვაქვს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით და დაგაფინანსოთ მგზავრობის კომპენსაციის მუხლი, – აღნიშნა აკაკი ჯოსაძემ

ინტერპრესი

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ  
პროექტის დასახელება: აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი  
განმახორციელებელი სააგენტო: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სააგენტოში გზების დეპარტამენტი  
ქვეყანა: საქართველო  
პროექტის ნომერი: P130413  
გამარჯვებული კომპანია: შ.პ.ს. „სახეები და სახელები“  
მისამართი: საქართველო, თბილისი, მოსაშვილის ქუჩა №1  
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: 28 იანვარი, 2014  
შესყიდვის მეთოდი: ერთ პირთან მოლაპარაკება  
ღირებულება: 33,860.00 ლარი  
ხანგრძლივობა: 3 კვირა  
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: საქართველოს სააგენტოში გზების დეპარტამენტის 2013 წლის ყოველწლიური ანგარიშის ბალანსების დაბეჭდვა  
Contract Award Notification  
Project Name: Forth East West Highway Improvement Project  
The project implementing Agency: Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia  
Country: Georgia  
Project Number: P130413  
Awarded Firm: Faces and Names Ltd.  
Address: Georgia, Tbilisi, 1Mosashvili Str.  
Contract signature date: January 28, 2014  
Method of Procurement/Selection: Single Source Selection  
Price: Gel 33,860.00  
Duration: 3 Weeks  
Summary scope of contract: Printing of Pamphlets for Road Department's Annual Report for 2013

ღღასასწული

ღავით აღაგუნებული — წმიდა კითხვასპირი მუჟე

8 თებერვალს სსენება წმიდისა კეთილმსახურისა მეფისა დავით მეოთხისა, მეფისა ყოვლისა საქართველოსა, აღმაშენებლად წოდებულისა.

...ცნობილია, რომ IX საუკუნის საქართველო ფიზიკური და სულიერი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა. ერთ დროს ქრისტიან-მოყვარე ერთი უსჯულოებამ და ცოდვამ მოიცვა. 1089 წელს საქართველოს „ბედად მოველინა განსწავლული ღვთის მოშიში, ბრძანდებდნენ, ქვრივობითა განმკითხავი, სამართლიანი მსაჯული, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა — წმიდა დავით აღმაშენებელი.

...მეფე დავითმა დიდი თურქობის დროს გაქცეული მოსახლეობის შემდეგ მეფე მიხვდა, რომ ძლიერი სახელმწიფოს ქვაკუთხედი მშვიდობისა და ერთობის დამყარება იყო ქვეყანაში.

დავით მეფემ თავისი გონიერი მზერა მიაპყრო ეკლესიას. მან მოიწვია საეკლესიო კრება, მის ძეგლისწერაში აღწერილია, რომ მართლმადიდებლობას ერისა და პიროვნების გადარჩენის საქმეში სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

კეთილმსახურმა მეფემ ქვეყნის შიდაპოლიტიკის რეფორმის და აღმშენებლობის შემდეგ თურქთაგან საქართველოს განმუხდას მიყო ხელი. დიდგორთან ომის მოგების (1121 წ.), თბილისის აღების (1122 წ.), დმანისის შემოერთების შემდეგ მან საქართველოს გაერთიანება დაასრულა.

საგულისხმოა, რომ უფალი შეენოდა ღვთის მადიდებელ მეფეს, გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა...

ჯერ კიდევ 1106 წელს დაიწყო დავით მეფემ თავისი აღმშენებლობითი მოღვაწეობის გვირგვინის — გელათის მონასტრის მშენებლობა... მეფემ მონასტრის დიდილი განძი და ომებში მოპოვებული ნადავლი შესწირა. მისი მზრუნველი ხელი დაეცყო საქართველოს საზღვრებს გარეთ წმინდა ადგილებში მრავლად არსებულ ქართულ საფარველებს... კაცობრივ ქართულ მეფემ სწულთათვის ქსენონი ააშენა. სიუხვით და წყალობით სავსე თვითონაც ხშირად ნახულობდა ავადმყოფებს, უხვად გასცემდა მოწყალებას...

თავისუფალ დროს მნიშვნელოვანი მეფე საღმრთო წერილის და სხვა წიგნების კითხვას ანდომებდა. მას წიგნები ომშიც დაჰქონდა, როცა დაიღვლებოდა, სხვას აკითხებდა. მეფე დავითი სწორუპოვარი



ჰიმნოგრაფიც იყო, მისი „გალობანი სინანულისანი“ თავისი ღრმა სულიერებით უტოლდება ეკლესიის უდიდესი ჰიმნოგრაფების ნაწარმოებებს.

ქართველთა ყველაზე ძველ-მოსილმა მეფემ შთამომავლობას დაუტოვა თავისი სულის საოცარი აღსარება, შეწყალება გამოთხოვა ღმერთს.

წმიდა მეფე აღესრულა 53 წლის ასაკში. დასაფლავებულია მის მიერვე აგებულ და სამეფო საძვალედ დადგენილ გელათის მონასტრის შესასვლელში. განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავენ 8 თებერვალს წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარში, რომელიც თსუ I კორპუსის ეზოში მდებარეობს.

P. S. ყველა დავითს ვულოცავ დავითობას! გიული ლიპარტი

ჩვენი პრესდაიჯესტი

კაშინჯი ვახუშტი



შალვა ნათელაშვილი თბილისის მარის პოსტისთვის იბრაძეობს?

ლიბერლისტი ბილი დერი ყოფილი პრემიერისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქის“ დამფუძნებლის ბიჩინა ივანიშვილის პოლიტიკური „მუხაა“. „პარი პოტრად“ მონათლული შალვა ნათელაშვილი ივანიშვილს კიდევ ერთ სიურპრიზს სთავაზობს და ფიქრობს, თავისი კანდიდატურა მერის არჩევნებში დააყენოს. წყარო გვიმტკიცებს, ამას ბატონი შალვა საჯაროდ კი უარყოფს, მაგრამ პრივატულ საუბრებში არ მალავს და ამაზე ხშირად ლაპარაკობს. საბოლოო გადაწყვეტილება, ნომერ პირველ ლეიბორისტს ჯერ არ მიუღია — წყაროს ცნობით, ჯერ იგი იმას ადევნებს თვალს, სხვა პარტიები ამ პოსტზე ვის კანდიდატურებს წარადგენენ. „მისია“

„ნაცმოკრაობა“ „ოცნებას“ 100:0-ს უზავს

— აცხადებს „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე. „ის, რომ დღევანდელი პარლამენტი ნამდვილად არ წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის განწყობებს, ესაა ფაქტი. იმას, რომ საქართველოს მოსახლეობის 40 პროცენტი ნამდვილად არ უჭერს მხარს „ნაციონალურ მოძრაობას“, ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, თუმცა ასე თუ გააგრძელა „ქართულ-მა ოცნებამ“, „ნაციონალურ მოძრაობას“ ეძლევა ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი. პირდაპირ შემოდლა გითხრათ, რომ „ნაციონალურში“ სერიოზულად იყო საუბარი, რომ საერთოდ გამოეთხოვებინათ საპრეზიდენტო არჩევნები და პირდაპირ მომზადებულიყო თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

„ქართული ოცნების“ სრულმა პოლიტიკურმა იმპოტენციამ და უსუსურობამ მათ მისცა შანსი, რომ ებრძოლათ საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. „ალია“

სახტამეიკის ხელოსნები შიკვითიან ვერ აუღიან

ძლიერი ყინვით ყველაზე მეტად საყოფაცხოვრებო ტექნიკის ხელოსნებმა იხვირეს. ბოლო რამდენიმე დღეა, ისინი შეკვეთებს ვერ აუღიან. ტემპერატურის ვარდნამ დედაქალაქში გამაცხელებლების და ზოგადად საანტიფრივის მასშტაბური დაზიანება გამოიწვია, ხელოსნების ინფორმაციით, შეკვეთებმა იმატა, რის გამოც დაძაბულ რეჟიმში უნვეთ მუშაობა. თავის მხრივ, საყოფაცხოვრებო ტექნიკის დაზიანებას მალაზიებში ამ ნაწარმზე მოთხოვნილების ზრდაც მოჰყვა. „რეზონანსი“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19. „საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

კაღრი



ავთანდილ ბაძაური

გაირკითხი

ალ ბუსტანის ფესტივალი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიული სახელმწიფო თეატრის ორკესტრი და საბალეტო დანსი ბეირუთში (ლიბანი) ალ ბუსტანის 21-ე საერთაშორისო ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. ალ



ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მთავარი დირიჟორი ჯანლუკა მარჩიანო.

ფესტივალი 18 თებერვალს დაიწყება და 23 მარტამდე გასტანს. ამჯერად, ფესტივალი თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრის კონცერტით გაიხსნება. შესრულდება დგორჟაკის უვერტიურა „ბუნების წიაღში“ და მე-9 სიმფონია „ახალი სამყაროდან“, ნინო როტას სიუიტა, რობერტო

მოლინელის „გაზაფხულის გული“ და „ქარბუქიანი ზამთარი“. 22 თებერვალს თბილისის ოპერის თეატრის ორკესტრი სცენაზე ფრანგ მევიოლინესთან ალექსანდრა სუმთან ერთად გამოვა.

ქართულ ორკესტრს ფესტივალის აუდიტორია 26 თებერვალსაც მოუსმენს. ამჯერად შესრულდება უვერტიურა ვებერის ოპერიდან „ჯადოსნური მსროლელი“, პეტრე ჩაიკოვსკის მეოთხე სიმფონია.

ალ ბუსტანის ფესტივალის მსმენელთა წინაშე ჩვენი ორკესტრი ბოლოს 28 თებერვალს წარსდგება — მევიოლინე სერგეი კრილოვთან ერთად დაუკრავს პეტრე ჩაიკოვსკის სავიოლინო კონცერტს, პროგრამაში ასევე უვერტიურები როსინის ოპერებიდან და ჩაიკოვსკის უვერტიურა „ჭექაქუხილი“.

სუთივე კონცერტს ჯანლუკა მარჩიანო იდირიჟორებს. ევროპის საფესტივალო ასოციაციის წევრის ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის აუდიტორიის წინაშე თბილისის ოპერის

სა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი ამჯერად უკვე მეოთხედ წარსდგება (2011 წლიდან ყოველწლიურად მონაწილეობს ფესტივალში), რაც, ცხადია, გასულ წლებში მიღწეული დიდი წარმატების დასტურია.

წლეულს ფესტივალში პირველად მიიღებს მონაწილეობას თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დანსი. 15 და 16 მარტს მასპურობელი იხილავს სპექტაკლებს „შოპენიანა“ და „მარგარიტა და არმანი“, სადაც მარგარიტას როლს პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილი შეასრულებს, იგი ასევე იცეკვებს კამილ სენ-სანსის მომაკვდავ გედს.

ალ ბუსტანის ფესტივალზე წლეულს იმღერებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირაკლი მურჯიკიანი — ის 19 მარტს მონაწილეობას მიიღებს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის შესრულებაში. ამ კონცერტსაც ჯანლუკა მარჩიანო უდირიჟორებს.

ავთანდილ ბაძაური

ცინცხალი ანეკდოტები

ამერიკელი ბავშვს აძინებს. ძილმორეული ბავშვი ეკითხება: — მამი, ვინ იყო ბაბუაჩემი? — ბანდიტი იყო, შვილო. — ჩემი დიდი ბაბუა ვინ იყო? — ისიც ბანდიტი იყო. — ვინ ვიქნები მე, როცა გავიზრდები? — ოჯახურ ტრადიციას გააგრძელებ... ბანკირი იქნები, — მთქნარებით უპასუხებს მამა. \* \* \* — ნაქაშაში გაქვთ? — ეკითხება მალაზიის გამყიდველს ქერათმიანი ქალი. —

— რამდენიც გინდათ. თქვენ რომელი გსურთ? — ყველაზე დიდი! — თორემ ჩემს ქმარს მხოლოდ ლიფსიტები მოაქვს სახლში. \* \* \* — ნაბაბა, რამდენი კილო ხარ? — როგორ არ გრცხვენია ასეთი კითხვის დამა? — პირველი სამი ციფრი მაინც მითხარი. \* \* \* თუ ქალის დაყოლებას ძალიან დიდხანს ცდილობდი და ისიც დაგთანხმდათ, უკვე ვერ გადააფიქრებინებთ. \* \* \* — ის თქვენი ქალიშვილია? ღმერთო ჩემო არადა, როგორი ლამაზი გოგოა...



ავტორთა საჭურაფლო რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე უპასუხს ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა SAKARTVELOS RESPUBLIKA გ. ახვლედიანის (მრფივი) პერმისიონის) ქ. 19

გამომცემელი: შპს „თბილისი“ საქართველოს რესპუბლიკის „გამომცემელი“ ტ. 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორ ში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ) 070 4(479 22) ს-323 ISSN 2233-3851 9 772233 1385001

მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიგაშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; საბრტაქ მოშულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი გიგუა გვახაძე 514 33-33-24